საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 26 თებერვალი, 2013 წელი.

№36 (7163)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცეა, ფცეულებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

გუშინ ნაციონალების უსამართლო სასამართლომ ავად გაკადნიერებული დედაქალაქის მერის გიგი უგულავას საქმეზე პროკურატურის არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რითაც ერთხელ კიდევ აშკარა გახდა, რომ „ქართული ოცნება“, როგორც გამარჯვებული პოლიტიკური ძალა, მთელ თავის შესაძლებლობებს სათანადოდ ვერ იყენებს და ასეთი წაჯექ-უკუჯექობით ნამდვილად ვერ აღადგენს ქვეყანაში სამართლიანობას.

ეს არა მარტო ერთი პოლიტიკური კოალიციის, არამედ მთელი ქვეყნისა და ხალხის შეურაცხყოფაა!

ლამის ხატზე დაიფიცონ „ნაცებმა“...

ამ პარლამენტის შემყურეს ძნელია, „ოცნება“ აგვიხდეს

③-④

მოსალოდნელია თუ არა თელავში პარტიზანული მოძრაობა?

ასე იცის ხალხის აზრის ფეხზე დაკიდებამ!

⑥

თბილისის მერს არასაპრეზიდენტო ვადა ემუქრება

⑧

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ სასამართლო

გიგი უგულავას საქმეზე პროკურატურის არც ერთი შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა

თბილისის საქალაქო სასამართლომ დედაქალაქის მერის მიმართ პროკურატურის არც ერთი შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და გიგი უგულავა დარბაზიდან გაათავისუფლა. აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე გიორგი არევაძემ მიიღო.

გიგი უგულავა სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე და 182-ე მუხლებით არის ბრალდებული, რაც სხვისი ქონების მართლსაწინააღმდეგო მითვისებასა და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციას გულისხმობს. ამ საქმეებთან დაკავშირებით წინასასამართლო სხდომა 10 აპრილს, 15 საათზე დაინიშნა.

პროკურატურა ქალაქის მერისთვის აღმკვეთი ღონისძიების სახით მილიონი ლარის გირაოს შეფარდებას, უფლებამოსილების შეჩერებას და ქვეყნიდან გაუსვლელობის პირობას ითხოვდა.

დავით კეზერაშვილს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

„ტელეიმედის“ საქმეში ბრალდებულ დავით კეზერაშვილს სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება გუშინდელ სასამართლო პროცესზე მოსამართლე გიორგი არევაძემ მიიღო.

პატიმრობასთან დაკავშირებით შუამდგომლობით მოსამართლეს პროკურორებმა მიმართეს.

ინტერპრესი

აკი ევროკავშირის ვიზებს აღარ გვაძლევენო?!

ვიზების ლიბერალიზაციაზე შეთანხმება ბევრად არის დამოკიდებული საქართველოს ხელისუფლებაზე და მათ ტემპზე, — ამის შესახებ საშინაო საკითხებში ევროკომისარმა სესილია მალმსტრომმა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ მაია ფანჯიკიძესთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

როგორც სესილია მალმსტრომმა აღნიშნა, მისთვის დიდი პატივია, იმყოფებოდეს დღეს საქართველოში.

— ალბათ ეს ყველაფერი არ იქნებოდა შესაძლებელი, საქართველოს რომ არ აეღო სრული ვალდებულება ევროინტეგრაციის კუთხით. საქართველომ ბრწყინვალე პროგრესს მიაღწია იმ კუთხით, რომ გაუმჯობესდა პოლიტიკა, კანონმდებლობა და მე მინდა, საქართველოს ხელისუფლებას ეს მიღწევა მივულოცო, — განაცხადა სესილია მალმსტრომმა.

მისივე თქმით, ვიზების ლიბერალიზაცია არის ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულება იმისათვის, რომ განმტკიცდეს ხალხთა შორის კონტაქტები. მალმსტრომის განცხადებით, სამოქმედო გეგმის მიზანია იდენტიფიცირებული იყოს რამდენიმე მიმართულება, რომელიც უნდა განხორციელდეს საქართველოს მხრიდან და აქ არის მინიშნებული გარკვეული მოთხოვნები, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს, რათა იყოს უსაფრთხო რეჟიმი და გარემო გადაადგილებისათვის.

ევროკომისრის განცხადებით, ეს არის გაიდლაინი იმისთვის, რომ პროგრესი იქნას მიღწეული კონკრეტული მიმართულებებით, რაც მნიშვნელოვანია საქართველოსთვის და მისი მოსახლეობისთვის.

მისივე თქმით, ამ გაიდლაინებიდან ზოგი უკვე შესრულებულია და ახლა უფრო საუბარია ტექნიკურ პროცესზე.

რაც შეეხება ვადებს, თუ რა ვადები დასჭირდება ამ ყველაფერს, მისი თქმით, მისთვის ამაზე საუბარი ძალიან ძნელია.

— ბევრი არის დამოკიდებული საქართველოს ხელისუფლებაზე და მათ ტემპზე, მაგრამ ისინი აკეთებენ ყველაფერს და ევროკავშირის მხრიდანაც ყველანაირი დახმარება არის გაწეული. მაშინ, როდესაც ყველა კრიტერიუმი იქნება დაკმაყოფილებული, გადავალთ მეორე ეტაპზე და ამის შემდეგ გადავალთ შეთანხმების მიღწევაზე ვიზების ლიბერალიზაციის კუთხით. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენს მხარეს აქვს დიდი სურვილი, რომ გაგრძელდეს თქვენთან თანამშრომლობა, -— დასძინა სესილია მალმსტრომმა.

მერიამ ნაცები „დაასაქმა“ და ხელფასებიც გაუორმაგა

თბილისის მერიის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოებში ჩამოყალიბებულ სამეთვალყურეო საბჭოებში „ნაციონალური მოძრაობის“ დასაქმებულ წევრებს ხელფასები გაუორმაგდათ, — ამის შესახებ გუშინ გამართულ ბრიფინგზე საკრებულოს ოპოზიციონერმა წევრმა, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ წევრმა ჯაბა სამუშიამ განაცხადა, რომელმაც ჟურნალისტებთან შეხვედრაზე სამეთვალყურეო საბჭოებში „ნაცმოძრაობის“ წევრების დასაქმების შესახებ ისაუბრა.

მისი თქმით, დასაწყისში საუბარი იყო 36 ადამიანის დასაქმებაზე, გადანაწილებაზე ოთხი საწარმოს სამეთვალყურეო საბჭოებში და თავდაპირველად თითო ადამიანს დაენიშნა 2 500 ლარი, მოგვიანებით კი, ეს თანხა გაუორმაგდათ. კერძოდ, 5 000 ლარი აქვს ხელფასი რუსუდან კერვალიშვილს, აკაკი სეფერთელაძეს, გიორგი ასანიძეს, გიგა ნასარიძეს, ხათუნა ოჩიაურს, გიორგი როინიშვილს, ლაშა დამენიას, ზაალ გამცემლიძეს, რომლებიც თბილისის სატრანსპორტო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოში არიან დასაქმებულები. ასევე 5 000 ლარი აქვთ ყოველთვიური ანაზღაურება ლაშა მაქაცარიას, მაკა მეტრეველს, ქეთევან მჭედლიძეს, ირმა ნებიერიძეს, კობა ხაბაზს, დავით ჯანიაშვილს, გიორგი სულხანიშვილს, მამუკა სანებლიძეს და ვლადიმერ ვარძელაშვილს, რომლებიც შპს „სინათლის ქალაქის“ სამეთვალყურეო საბჭოში მუშაობენ. ასევე, 5 000 ლარს იღებენ ხელფასს ეკატერინე ხერხეულიძე, ბადრი ბასიშვილი, ირაკლი ქავთარაძე, გიორგი ხახმელიძე, გიორგი ქავთარაძე, მამუკა გაჩეჩილაძე, მამუკა ხერხეულიძე, ზაზა ციციშვილი, დავით იონიშვილი და ესენი დასაქმებულები არიან შპს „თბილისის“ ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოში.

ასევე შპს „ჰერმესის“ სამეთვალყურეო საბჭოში ამავე თანხას, ხელფასის სახით, ასევე 5 000 ლარს იღებს ცხრა დასაქმებული მოქალაქე.

ჯაბა სამუშიას თქმით, თითოეულ ორგანიზაციაზე ყოველთვიურად იხარჯება 45 000 ლარი, ოთხი ორგანიზაციისთვის კი ყოველთვიურად 180 000 ლარი, ასევე ოთხ ორგანიზაციაზე წლიურად ბიუჯეტიდან გათვალისწინებულია 2 160 000 ლარი.

ჯაბა სამუშიას თქმით, 36 ადამიანის დასაქმებაზე წელიწადში გამოყოფილი 2 160 000 ლარი საშუალოდ 4 000 ოპერაციის დაფინანსება იქნებოდა შესაძლებელი თბილისის მოქალაქეებისათვის.

— ჩვენ ვხედავთ, თუ რას ნიშნავს უგულავასთვის დასაქმება. როგორც „თბილსერვის ჯგუფთან“ მიმართებაში ყველა დასაქმებულს ერთი ნიშნით ირჩევდნენ, ისინი „ნაციონალური მოძრაობის„ წევრები იყვნენ. მათ ხალხი შეჰყავთ შეცდომაში. ეს დასაქმება არ არის. უბედურება ის არის, რომ ცხრა წელი ასეთ პარტიულ პოლიტიკას „ნაცები“ დასაქმებას უწოდებდნენ, — აღნიშნა ჯაბა სამუშიამ „პირველი რადიოს“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე.

◎ წკეპლიკა

აქეთ ბაჩო, იქით ბაჩო – ვის ვეცე და ვინ მივახრჩო...

ალხანას რომ მართლაც არ დაელევა ჩალხანა, ყველა ალხანას რომ თავისი ჩალხანა ჰყავს... ჩემთვის მოულოდნელობა და გვარიანი ფსიქოლოგიური შოკიც იყო, რომ სასამართლოს დარბაზი მქუხარე ტაშით შეხვდა („ყველანი ფეხზე დგებიან“-ღა აკლდა...) საბრალდებო სკამზე ჩამოსასხდომად ბაჩო ახალაიას და კამპანიის გამოჩენას.

ამ „მრავალდაზგოსან“ და სტაჟიან დამნაშავეს ისე მიეგებნენ, თითქოს ჭეშმარიტად ცოტნე დადიანი ყოფილიყოს. ეგ კი არა, სასამართლოს „სააღლუმო მისასვლელთან“ ნაირგვარ პლაკატებიან-ლოზუნგებიანი ჯეელებიც მოინიშნეს და მოივარგეს ყველგანმავალმა, ყველგან მოდარაჯე და ფხიზლად მყოფმა ტელეკამერებმა. „მეც ბაჩო ახალაია ვარ“... „თავისუფლება ბაჩო ახალაიას“ ასე და ეგებ კიდევ სხვანაირადაც ღაღადებდნენ მსხვილასოებიანი წარწერები. ყველას ვერ მივადევნე ნაოპერაციევი თვალი...

რა გვჭირს, ადამიანებო, რასაა და ვისაა, რომ ვეოვაციებით, ვებლატავებით და ვეპლაკატებით, ეგ არის სახალხო რისხვა თუ მრისხანება, ეგ არის საზოგადოების გულისწყრომა და საზოგადოებრივი აზრი?.. რა ვქნა ახლა, მე უბედურმა, არ წამომაგონდეს ჰამლეტი? „თითქო ქვეყანა იყოს

ბაღი გაუმარგლავი, რაშიაც ხარობს მხოლოდ ღვარძლი, „ცუდი ბალახი... ეგეცა ვნახეთ?..“ ჰო, ვართ კიდევაც „ბაღი გაუმარგლავი“, ჰო, კიდევ ბევრს ვნახავთ სანახავსაც და უნახავსაც...

ჰოდა, კიდევ ერთხელ ამოვიკვნესებ: ვაი თქვენს პატრონს და ვუი ჩვენს უპატრონობას!..

ბერდია ბედოიძე

◎ სიყალბე თუ რეალობა?

უზუსტობები ფირცხალავას ვიდეოკადრებში

პატრულის მიერ მოკლული ბუტა რობაქიძის საქმის ყოფილი გამომძიებელი შალვა ნიქაბაძე ირაკლი ფირცხალავას მიერ გავრცელებულ კადრებში უზუსტობებზე საუბრობს.

როგორც შალვა ნიქაბაძემ „პირველი რადიოს„ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ვიდეოკადრებში რამდენიმე უზუსტობაა დაფიქსირებული, რაც მას იმის საფუძვლიან ეჭვს უჩენს, რომ ეს კადრები შემთხვევის მომენტში გადაღებული არ არის.

მისივე თქმით, იგი არ არის ექსპერტი და არ შეუძლია იმის მტკიცება, რომ კადრები დამონტაჟებულია, თუ ხმა აქვს დადებული, მაგრამ თვალშისაცემია, რომ პირველივე წამებზე კადრში ძალიან ბევრი პოლიციის თანამშრომელი ჩანს, როდესაც შემთხვევის ადგილზე იმ მომენტში პატრულის ორი ეკიპაჟი იმყოფებოდა, ანუ საპატრულო პოლიციის ოთხი თანამშრომელი.

ყოფილი გამომძიებლის თქმით, შემთხვევიდან ძალიან მალე გამოცხადდა სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანა, რომელიც, გამოძიების დოკუმენტების მიხედვით, გამოძახებიდან ზუსტად 3 წუთში მივიდა შემთხვევის ადგილზე, კადრში კი სასწრაფო სამედიცინო მანქანა და ექიმები საერთოდ არ ჩანან.

— უფრო მეტიც, კადრებში, ჩანს, რომ პატრულ-ინსპექტორები მანქანიდან იღებდნენ კალაშნიკოვის სისტემის ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღს და ერთ ცალ ცეცხლსასროლ იარაღს, მაშინ როცა მე შემთხვევის ადგილიდან ამოღებული მაქვს მეორე კალაშნიკოვის სისტემის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, ორი ცალი რგდ-ს ტიპის ხელყუმბარა და 330 ცალი ავტომატის ვაზნა, ეს ყველაფერი კადრებში არ ჩანს, — განაცხადა შალვა ნიქაბაძემ.

მისივე თქმით, ასევე როგორც რამდენიმე დღის წინათ მიქაძის ადვოკატმა განაცხადა, მიქაძე შემთხვევის ადგილზე დაახლოებით 20 წუთში მივიდა და თუკი ეს კადრები რეალობას შეესაბამება და უწყვეტი კადრებია, შემთხვევის ადგილზე პირველ 10 წუთში ის ვერანაირად ვერ მოხვდებოდა და კადრებშიც არ უნდა ყოფილიყო.

— ეს ნიუანსები მაფიქრებინებს, რომ ეს კადრები არ შესაბამება იმ სურათს, რა სურათიც შემთხვევის ადგილზე იყო, — აღნიშნა ყოფილმა გამომძიებელმა.

მისივე თქმით, მან არ იცის, ირაკლი ფირცხალავასთან როგორ აღმოჩნდა ეს კადრები, თუმცა, აცხადებს, რომ მისი ღრმა რწმენით ეს კადრები გურამ დონაძეს უნდა ჰქონოდა. მისი თქმით, გურამ დონაძე ის კაცი არ არის, რომ ასეთი კადრები ვინემსთვის მიეცა, გადაეგდო ან გაექრო.

— ჩემი აზრით, ეს კადრები ბოლომდე გურამ დონაძის ხელში იყო, რადგან შემთხვევიდან დაახლოებით 10 დღეში პირადად მე ვიყავი მისული მასთან, მის სამსახურში, შს სამინისტროში, რათა შავი მასალა წამოეღო, რაზეც დონაძემ განაცხადა, რომ სრულიად შემთხვევით, მუშაობის პროცესში კადრები წაეშალა. თუ კადრები წაშლილი იყო, როგორ მოხვდა ეს კადრები ფირცხალავას ხელში?, — აღნიშნა მან.

მისივე თქმით, იგი თბილისის კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსის ზურაბ ბაქრაძის თაობაზე ვერაფერს იტყვის და შემთხვევის ადგილზე არ უნახავს.

რაც შეეხება ყოფილ პატრულს, მაიზერ ლიპარტელიანს, მისი თქმით, ის შემთხვევის ადგილზე ძალიან გვიან მივიდა, გასროლის მომენტში და უახლოეს 20 წუთში შემთხვევის ადგილზე არ ყოფილა.

— ჩემი აზრით, გაურკვეველია, რატომ ცრუობს მაიზერ ლიპარტელიანი, ასევე რატომ ცრუობს პატრულ-ინსპექტორი, რომელიც ბაშალეიშვილის მეწყვილე იყო, ლევან ლობჟანიძე. ამ პიროვნებებმა ზუსტად იციან, რა მოხდა რეალურად შემთხვევის ადგილზე. ძალიან მაინტერესებს, ლობჟანიძე როდის ამბობდა სიმართლეს, როდესაც პირადად ჩემთან დაკითხვაზე მეუბნებოდა, რომ ბუტა რობაქიძემ ორჯერ გასროლა ბაშალეიშვილის მიმართულებით, მაშინ როდესაც მთავარი პროკურატურის გამომძიებელთან განაცხადა, რომ შემთხვევის ადგილზე იარაღები არ უნახავს, თუ ახლა, როდესაც ამტკიცებს, რომ ეს კადრები სინამდვილეს შეესაბამება? ჩემი აზრით, ამ პიროვნებების ჩვენებებზე დაყრდნობა არ შეიძლება, — აღნიშნა ნიქაბაძემ.

მისივე თქმით, მაშინ ზურაბ ადეიშვილის მხრიდან საკმაოდ დიდ ზეწოლას ჰქონდა ადგილი.

— არა მარტო მისი მხრიდან, საკმაოდ დიდი ზეწოლა იყო პირადად ჩემზე მაშინდელი ქალაქის პროკურორის გიორგი ღვინიაშვილის მხრიდანაც. იყო მუქარა, რომ ყველაფერს თუ ისე არ გავაკეთებდი, როგორც საჭირო იყო, მე დავტოვებდი სამსახურს და საბოლოო ჯამში ეს მუქარაც შეასრულეს, — აღნიშნა მან.

მისივე მტკიცებით, მას არ აქვს ინფორმაცია, ვინ მიიტანა შემთხვევის ადგილზე იარაღი.

— როდესაც შემთხვევის ადგილზე მივედი, დამხვდა ასეთი სურათი: გურამ დონაძე და ზურაბ მიქაძე ანაწილებდნენ იარაღს დაკავებულ პიროვნებებში, რომლებიც შემდგომში ჩემს მიერ იქნა ამოღებული. ასევე ჩემი შემთხვევის ადგილზე მისვლის დროს გარდაცვლილ ბუტა რობაქიძის გვერდზე იყო ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც კადრებში არ ჩანს, — დასძინა მან.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ პოზიცია

ლამის ხატზე დაიფიცონ „ნაცებმა“...

ლამის ხატზე დაიფიცონ შუბლის ძარღვგაწყვეტილმა „ნაცებმა“, რომ 8 თებერვალს საჯაროსთან მათ თავს დაესხა საპატიმროებიდან გამოშვებული „კრიმინალური ბანდა“, „გავეშებული ბრბო“ (მათი სიტყვებია!) და, რომ მათი, „ნაცების“ მხრიდან არავითარი პროვოკაცია არ ყოფილა, თუმცა, კარგად მოეხსენებათ, რომ იქ შეკრებილი იყვნენ პარლამენტის მიერ პოლიტპატიმრებად ცნობილი და ციხეებში ნატანჯი ადამიანები, მათი ნათესავ-მეგობრები და გულშემატკივრები.

რაც შეეხება თავდასხმას, ესეც მშვენივრად მოეხსენებათ „ნაცებს“, რომ თავდასხმაა მაშინ, როცა მომიტინგეებს ან დემონსტრანტებს ვინმე თავს ესხმის გარედან, ხოლო ჯოჯოხეთგამოვლილ და გამწარებულ ხალხში ხელების ქნევით და გამაღიზიანებელი შეძახილებით ჯიქურ გავლას პროვოკაცია ჰქვია. რაც არ უნდა საპირისპირო ამტკიცონ „ნაცებმა“, ეს იყო აშკარა, კარგად ორგანიზებული პროვოკაცია, და ეს სულ ადვილად მტკიცდება პროკურატურის მიერ მხარეების დაკითხვების გარეშეც.

მარტო(!) უგულავა თავისი დაცვით რომ მისულიყო საჯაროსთან, მაშინაც არ ექნებოდა გამართლება მის ხელების ქნევას და შეძახილებს, მაგრამ მას მაინც დარჩებოდა სათქმელად, რომ არ იცოდა ალტერნატიული შესასვლელის თაობაზე არაფერი, როგორც აცხადებს კიდეც და, ამიტომ გახდა იძულებული ამ ხალხში გაევლო, რათა მთავარ შესასვლელამდე მიეღწია. მაგრამ მრავალრიცხოვანი კამერების წყალობით ყველამ ვნახეთ, რომ შეკრების ადგილას გერმანული სიზუსტით გამოცხადდნენ სულ სხვადასხვა კატეგორიის (თანამდებობით და სამსახურებრივი ადგილსამყოფლით) „ნაცები“ – თბილისის მერი თავისი სამსახურების უფროსებით, უამრავი ნაცდეპუტატი, ყოფილი ნაცდეპუტატები და ნაცაქტივისტები, თავ-თავიანთი დაცვით, ცხადია, და გაერთიანებული ძალებით (არც ისე უმნიშვნელო!) დაიწყეს მსვლელობა იმ ადამიანებისკენ, ვინც სწორედ მათი ინიციატივით და წაყრუებით იგზავნებოდა ახალაია-კალმახელიძის საპყრობილეებში ღირსების და პატივის ასაყრელად, ფიზიკურად და სულიერად დასამახინჯებლად.

ასეთნაირი შეკრება მხოლოდ მკაცრ პარტიულ დისციპლინას დაქვემდებარებულ ხალხს შეუძლია. **სწორედ ეს, შეერთებული ძალებით ერთდროულად განხორციელებული მსვლელობა არის „ნაცების“ ორგანიზებული პროვოკაციის მთავარი სამხილი, და არა – უგულავას ხელების ქნევა!**

„ნაცების“ პროვოკაცია, სამწუხაროდ, დასავლეთის მიერაც იქნა მოწონებული, და ესეც ასევე ადვილად მტკიცდება ევროპარლამენტის „ევროპის სახალხო პარტიის“ ვიცე-თავმჯდომარის მწოლიარე ჩიორასთან ბინაზე სტუმრობით და შემდგომი განცხადებით. მსგავსი ვიზიტი, ხალხთან(!) შეხლა-შემოხლის დროს ცხვირიდან წამოსული ორი წვეთი სისხლის გამო განხორციელებული, არ ახსოვს მსოფლიო ისტორიას. **როგორც „ნაცების“ პროვოკაცია იყო აშკარად ორგანიზებული, ასევე აშკარად დემონსტრატიული იყო ევროპის სახალხო პარტიის წევრთა ვიზიტიც.** იგი, იმავდროულად, იყო სამარცხვინოც და ქართველი ხალხის შეურაცხმყოფელი, რადგანაც იმ ორგანიზაციებს დასავლეთში, რომლებიც წლების მანძილზე დამუნჯებულნი იყვნენ, და მხოლოდ მორიდებული „შეშფოთებით“ გამოხატავდნენ თავიანთ „კაცთმოყვარულ“ პოზიციას „ნაცების“ მიერ დაყენებულ სისხლის გუბეებზე (რუსთაველზე, პოლიციის სამმართველოში, ციხეებში), წამებით დახოცილ უდანაშაულო ხალხზე, მოკლულ პრემიერ-მინისტრზე, პრეზიდენტობის კანდიდატზე, აკადემიკოსზე, უმაღლესი რანგის ოფიცრებზე, არა აქვთ არავითარი მორალური უფლება, ჩიორას ცხვირზე ილაპარაკონ, რომელ ცხვირსაც ევროპარლამენტარები, თურმე, შოკში(!) ჩაუგდია.

ჩიორას ცხვირთან დაკავშირებით დამატებით უნდა ითქვას შემდეგი. თუ წოლითი რეჟიმი მას ექიმმა გამოუწერა, ეს ექიმი უნდა დაიკითხოს, რადგანაც მან თვალი დახუჭა დეპუტატის აგრავაციაზე და „პაციენტს“, რომელსაც გონება არ დაუკარგავს, არც დაცემულა და, რომელიც აქტიური იყო მომდევნო დღეებში, ცხვირიდან მცირეოდენი სისხლისდენის გამო ამგვარი „მკურნალობა“ დაუნიშნა შემთხვევიდან მეხუთე (!) დღეს. თუკი ჩიორა თავისი ინიციატივით დახვდა საწოლში ევროპის სახალხო პარტიის ვიცე-თავმჯდომარეს, მაშინ გამოდის, რომ მან ეს ჩაიდინა ერთადერთი მიზნით – ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით! ამიტომ მისი საქციელი, როგორც დეპუტატისთვის, თუნდაც „ცხვირგატეხილი“ დეპუტატისთვის შეუფერებელი, აუცილებლად უნდა განიხილოს და დაგმოს პარლამენტის ეთიკის კომისიამ.

ევროპის სახალხო პარტიის აშკარა პრონაცური პოზიციის მოსმენა, დივანზე წამოგორებული ჩიორას ჩაკოცნის ხილვასთან ერთად, გულისამრევი იყო, მაგრამ კიდევ უფრო მეტად გულისამრევია ჩვენი ხელისუფლების უნიათობა (რბილად რომ ვთქვა), რომელსაც გამბედაობა არ ჰყოფნის პირსაძიებელი, არამედ – თავად „ნაცმოძრაობის“, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის. ოდნავ თუ ჩავუკვირდებით მიმდინარე მოვლენებს, საგამოძიებო კომისიაზე უარის თქმა არც ისე გასაკვირვად მოგვეჩვენება – აბა, სად გაგონილა, ქმარი „ნაცების“ ამნისტიის პროექტზე მუშაობდეს და ცოლი კი ხელს უშლიდეს ამაში საგამოძიებო კომისიის შექმნით, ხომ დაინგრა პარტიაც და ოჯახიც!

არ მოხერხდა სააკაშვილის ხელთ არსებული განუსაზღვრელი უფლებებიდან მხოლოდ ერთის – მთავრობის ერთპიროვნულად დათხოვნა-ფორმირების უფლების ჩამორთმევაც, რის გამოც სახელმწიფო დღემდე პოლიტიკური კრიზისის რისკის ქვეშაა, ხალხი კი – სამოქალაქო დაპირისპირების.

„ნაცებმა“...

ამ პარლამენტის შემყურეს ძნელია, „ოცნება“ აგვიხდეს

ში უთხრას (დიპლომატიურად, ცხადია) სიმართლე, საკადრისი პასუხი გასცეს ყველას, ვისაც არ ეზარება ჩვენს შინაურ საქმეებში უშნოდ ცხვირის ჩაყოფა, ანუ არაობიექტური განცხადებების კეთება.

სწორედ გაუბედაობის და დასავლეთისადმი გაკეთებული გამუდმებული რევერანსების გამოა, რომ სამართალმა დღემდე ვერ ჭამა პური საქართველოში. უკანონოდ დაპატიმრებული და საპყრობილეებში დაინვალიდებული ხალხის გამოშვება ციხეებიდან ჯერ კიდევ არ ნიშნავს სამართლის აღდგენას. **სამართალი არ არსებობს მანამ, სანამ დამნაშავე განსასჯელის სკამზე არ დაჯდება და მას კანონით არ მიეზღვება სათანადო სასჯელი.** ამ მხრივ კი, სამართლებრივი მიღწევა, სამწუხაროდ, ნულის ტოლია! მიუხედავად იმისა, რომ სულის შემძვრელ ისტორიებს დღემდე ბოლო არ უჩანს, მიუხედავად იმისა, რომ პირველი ნოემბრიდან 31 იანვრამდე პროკურატურაში 18 500 (!) საჩივარია შესული, ძირითადად, ცხადია, „ნაცების“ ხელისუფლების წარმომადგენლებზე, მიუხედავად უამრავი სამხილისა და ათობით, ზოგ შემთხვევაში, ასობით მოწმის ჩვენებისა (მერიის დასუფთავების სამსახურის საქმეზე, მაგალითად), ჯერჯერობით, ოთხი თვის თავზეც კი, ერთი საქმე არ არის ბოლომდე მიყვანილი! თუმცა, არა – ერთი დასრულდა, „სულის ამომხდელ“ თარგამაძეს პატიმრობა შეეფარდა, ოღონდაც – რუსეთში, ჩვენი მართლმსაჯულების სამარცხვინოდ, რუსეთში დაგვასწრეს! ჩვენთან კი, რომც მივიდეს სასამართლომდე საქმე, მართლმსაჯულების იმედი ნაკლებად აქვს ხალხს, სასამართლოებში ხომ იგივე მოსამართლეებს აქვთ მანტია მოსხმული, რომლებსაც ათასობით ადამიანის, მათ შორის 200-ზე მეტი პოლიტპატიმრის, ცოდვა აწევთ კისერზე. არ ჩანს დაპირებული პარლამენტის საგამოძიებო კომისიაც. პირველივე დღეებში გვპირდებოდნენ მის შექმნას, დღეს კი, როცა ჯერადობით გაიზარდა უმაღლესი თანამდებობის პირთა წინააღმდეგ შეტანილი საჩივრების რაოდენობა, წარბშეუხრელად გვიმტკიცებენ, რომ ამის საჭიროება, თურმე, ჯერ არ დამდგარა! არადა, არა მარტო „ნაცმოძრაობის“ ლიდერების ნამოღვაწარია გამოიგი მოლაპარაკებებს, როგორც წესი, საპიაროდ იყენებდა ან დროის გასაყვანად, ამიტომ მტერი ენდოს სააკაშვილს! მასთან გაჭიანურებულ მოლაპარაკებებში ჩართვა 100%-ით წამგებიანი იქნება „ქართული ოცნებისთვის“, თუ, რა თქმა უნდა, თავადაც რაღაც გარიგება არა აქვს გუნებაში! **უსუფაშვილსა და სააკაშვილს შორის ფარულად მიმდინარე მოლაპარაკებებს, რა საკითხებსაც არ უნდა შეეხებოდეს, ისეთი სუნი უდის, რომ სამართალმა, შესაძლოა, პური საერთოდ არ ჭამოს!**

ძალიან საწყენი იქნება, თუ „ქართული ოცნება“ „ქვეშიდან გამოვა“ და დათმობებზე წავა, რისი ნიშნებიც, სამწუხაროდ, არც ისე ცოტაა. თუნდაც, ბოლო დათმობა ავიღოთ. „ნაცების“ აბსურდულ მოთხოვნას– საგარეო კურსის შეუცვლელობაზე, უპირობოდ მხოლოდ ერთი მიმართულებით წარმართვაზე და კონსტიტუციაში(!) შესაბამისი ჩანაწერის გაკეთებაზე, უმრავლესობიდან ყველამ ჯერ აბსურდული უწოდა, მეორე დღეს კი – თანახმა ვართ განვიხილოთო, და მესამე დღეს – პრეამბულაში შევიტანოთო. მოკლედ, **დასაწყისში ყოველგვარ საღ აზრს მოკლებული წინადადება ორ დღეში კონსტიტუციაში შეტანის ღირსი გახდა!** ნებისმიერ სახელმწიფოს შეიძლება მთავარი კურსი დასავლეთისკენ ჰქონდეს აღებული ან აღმოსავლეთისკენ, ჩრდილოეთისკენ ან სამხრეთისკენ, მაგრამ ამის კონსტიტუციაში ჩაწერა არც ერთ ჭკუათმყოფელს არ მოუვა და 200 სახელმწიფოდან ორის მაგალითად მოყვანა სააკაშვილის წინადადებას სიბრძნეს არ მატებს. სულ ხვითო რომ იყოს დასავლეთი – ამერიკა-„ნატო“ და, თუნდაც, ევროკავშირი, საიდანაც დიდი ბრიტანეთიც(!) კი გარბის, როგორ შეიძლება, სახელმწიფო ინტერესების გაუთვალისწინებლად(!) უარი ვთქვათ, კონსტიტუციის ძალით(!), სხვა მხარეს გახედვაზე.საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია ჩრდილოეთისკენაც გახედვა და ურთიერთობის დალაგება ოკუპანტ რუსეთთან, ვის ხელშიცაა ჩვენი სულიერება და გულიც – მართლმადიდებლობის ბედი, საერთოდ, და აფხაზეთ-სამაჩაბლოს საქართველოს შემადგენლობაში ყოფნა-არყოფნა(!), და დამატებით, ჩვენი უსაფრთხოებაც. საქართველოს „ნატოში“ რეალურ გაწევრებაზე ვერ მოასწრებს დასავლეთი გაფიქრებას, რომ რუსეთს უკვე ოკუპირებული ექნება დანარჩენი საქართველოც. ერაყ-ავღანეთ-ლიბია-სირია-აფრიკის ქვეყნებში და კიდევ სხვაგან „მშვიდობის“ და „დემოკრატიის“ დამამყარებელი „ნატო“ თითსაც არ გაანძრევს – **არავინ არის ისეთი ბრიყვი, რომ საკუთარი ინტერესები რუსეთისგან საქართველოს დამოუკიდებლობას ანაცვალოს და ამ „მაღალი“ მიზნისთვის რუსეთს დაუპირისპირდეს.**

პარლამენტმა, რომელმაც დიდი რიხით დაიწყო მუშაობა, ნელ-ნელა, როგორც ძველად იტყოდნენ, „ზადნი“ მისცა, იმ მიზეზით თუ ამ მიზეზით, იმის ზეწოლით თუ – ამის, ხალხისთვის ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. პროკურატურაში გაუთავებელი დაკითხვები, დაუსჯელობის გრძნობით გათამამებულ „ნაცებს“ სასაცილოდაც აღარ ჰყოფნით და მას საპიაროდ იყენებენ. დღეს, ვისაც არ უნდა ვკითხოთ, ყველა უშეცდომოდ გიპასუხებთ თუ რას ნიშნავს: „ვკითხე, ვკითხე, ვერ დავკითხე“!

იხ. 4 გვ.

◎ ინფორმაცია

აბაშიძე და კარასინი ერთმანეთს პრაღაში შეხვდებიან

რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძისა და რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენლის გრიგორი კარასინის პირველი მარტისთვის დაგეგმილი შეხვედრა ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში გაიმართება. ამის შესახებ ზურაბ აბაშიძემ განაცხადა.

მისივე თქმით, პრაღის შეხვედრაზე მხარეები რუსეთ-საქართველოს სავაჭრო, სატრანსპორტო, ჰუმანიტარული და კულტურული ურთიერთობების საკითხებს განიხილავენ.

ზურაბ აბაშიძის თქმით, მორიგ შეხვედრაზე მხარეები, ასევე, შეაჯამებენ, თუ რა წინსვლაა ვაჭრობის კუთხით, კერძოდ, ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნების თვალსაზრისით. შესაძლოა, განხილულ იქნეს აღნიშნულ სფეროებში თანამშრომლობის ახალ მიმართულებებიც.

ცხინვალის საპატიმროდან 65 წლის დავით ვანიშვილი გაათავისუფლეს

ცხინვალის საპატიმროდან ორდღიანი პატიმრობის შემდეგ სოფელ ხურვალეთის მკვიდრი, 65 წლის დავით ვანიშვილი გაათავისუფლეს. როგორც „ინტერპრესნიუსის“ რეგიონული კორესპონდენტი იუწყება, ვანიშვილი რუსმა მესაზღვრეებმა სამი დღის წინათ საკუთარ სახლთან ახლოს დაიჭიეს. მისი სახლი ხურვალეთში საოკუპაციო ზოლზე მდებარეობს.

ცოტა ხნის წინათ მესაზღვრეებმა მის ეზოში მავთულხლართები გაავლეს. ვანიშვილს საზღვრის უკანონოდ გადაკვეთას ედავებოდნენ.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

როდის დაგვადგება საშველი?

◎ პოზიცია

ლამის ხატზე დაიფიცონ „ნაცებმა“...

(მესამე გვერდიდან) **ერთი რამ უდავოა, რამდენითაც „ქართული ოცნება“ „ნაცებს“ უახლოვდება თანაარსებობის, „კოჰაბიტაციის“ კუთხით, ზუსტად იმდენით შორდება იგი ქართველ ხალხს!** სად მიგვიყვანს პარლამენტის გაუგებარი „კოჰაბიტაცია“ დამნაშავე „ნაცმოძრაობასთან“ – სამართლიანობის აღდგენამდე, საპროტესტო გამოსვლებამდე თუ ვადამდელ არჩევნებამდე, ამას, ალბათ, ერთ თვეზე ნაკლებ დროში გავიგებთ. ბევრი რამ, თუ ყველაფერი არა, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა რჩევას მიიღებს სააკაშვილი სახელმწიფო დეპარტამენტისგან. **რაც არ უნდა არაპროგნოზირებადი ვეძახოთ სააკაშვილს, იგი ნაბიჯის გადამდგმელი არ არის დამოუკიდებლად.** ასე რომ, როგორც 1 ოქტომბერს შესაძლებელი იყო მოვლენების ორნაირი განვითარება – ხაშურის ვარიანტით და ხელისუფლების მშვიდობიანი დათმობით, დაახლოებით, ასევე იქნება ახლაც, თუ არ მოხერხდა გარანტირებული(!) შეთანხმება „ნაცებსა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის.

ამ მოსაზრებას, შესაძლო მომავალი საშიშროების თაობაზე, საფუძვლად უდევს,ერთის მხრივ, სააკაშვილის ხელთ არსებული კონსტიტუციური უფლებები და რესურსები სახელმწიფო მანქანის ყველა რგოლში შენარჩუნებული ძველი ნაცკადრების და ე.წ. „ზონდერების“ სახით, რომელთა გვარ-სახელების და განაიარაღების შესახებ არაფერი არ გვსმენია. რა, არ იყვნენ თუ აღარ არიან?! „ზონდერრაზმები“ ჟურნალისტების ფანტაზიის ნაყოფი იყო?! ცხადია, გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება სახელმწიფო დეპარტამენტის პოზიციას – ნეიტრალური იქნება იგი, რაც ნაკლებ სავარაუდოა, გონიერებისკენ მოუწოდებს ყავლგასულ პრეზიდენტს თუ აქეთ დაგვიწესებს ეკონომიკურ სანქციებს, აკი, ზოგიერთი სააკაშვილზე შეყვარებული კონგრესმენი კიდეც ითხოვს ამას. ასე იქნება თუ ისე, **ჩვენ უნდა ვიმოქმედოთ ამერიკის მესამე პრეზიდენტის, ჩემი აზრით, №1 ამერიკელის თომას ჯეფერსონის პრინციპით: „მშვიდობიან მონობას, მე საფრთხეებიან თავისუფლებას ვამჯობინებ“!**

სიმართლეს თვალი უნდა გავუსწოროთ და ახლა, **ოთხი თვის თავზე მაინც ვაღიაროთ, რომ იმედგაცრუება არჩევნებში გამარჯვების პირველივე დღეებიდან დაიწყო,** რასაც ნამდვილად არავინ არ ელოდა. „ქართული ოცნებისთვის“ მართლა თავგადადებულ ხალხს სწამდა, რომ „ქართული ოცნებაც“ ასევე თავგამოდებული, უშიშრად ემსახურებოდა ხალხის ინტერესებს და, უპირველესად, მთავარ დაპირებას შეუსრულებდა მას – სამართალს აღადგენდა. ამიტომაც, მიუხედავად უკმაყოფილებისა, განსაკუთრებით რეგიონებში, ხალხი ითმენდა ბევრს, მისთვის მიუღებელს მხოლოდ იმისთვის, რომ თავისი პროტესტებით ხელი არ შეეშალა „ქართული ოცნებისთვის“ და, პირველ რიგში, ბიძინა ივანიშვილისთვის. მაგრამ ახლაც თუ არ ითქვა სათქმელი, ისეთი პირი უჩანს „ნაცებთან“ კოჰაბიტაციას და ხალხის ზურგსუკან მიმდინარე მოლაპარაკებებს, რომ გამორიცხული არ არის იმედგაცრუებულმა და აღშფოთებულმა ხალხმა პარლამენტის ვადამდელი არჩევნები მოითხოვოს.

ყველაფერი კი, ანუ „ნაცებთან“ გარიგება და ხალხის დაბოლებაც, დაიწყო, როგორც ვთქვი, მალევე, ცესკოს ოფიციალური მონაცემების გამოქვეყნებისთანავე. უცებ დაგვავიწყეს გაყალბებული მაჟორიტარული არჩევნები, არადა, გვამშვიდებდნენ – მართალია, კუბლაშვილის სასამართლოებში ვერ ვიმარჯვებთ, მაგრამ არაუშავს, პარლამენტში არ დავამტკიცებთ ამ დეპუტატებს და სასამართლოებსაც მივხედავთო; დაამტკიცეს კი არა (როლანდ ახალაიას თამადობით), არამედ აფრასიძეების ჩამხოცავ ბარამიძეს მეტმა დეპუტატმა დაუჭირა მხარი სპიკეროობაზე, ვიდრე უსუფაშვილს – პარლამენტის თავმჯდომარეობაზე. და დაგვამშვიდეს, არ ინერვიულოთ, ახლა თუ 85 დეპუტატი გვყავს, „ნაცებს“ კი – 65, სულ მალე დასტა-დასტა გადმობარგდებიან ნაცდეპუტატები ჩვენთან და ახლანდელი 60 %-ის ნაცვლად 80 % გავხდებით, საკონსტიტუციო ცვლილებებსაც უპრობლემოდ მივიღებთ და პრეზიდენტის იმპიჩმენტსაც წინ არაფერი დაუდგებაო. სხვათაშორის, **პროცენტების ასე ვირეშმაკურად დამრგვალება (60 და 40 %-ად) „ნაცებთან“ შეთანხმების გარეშე არაფრით არ მოხერხდებოდა,** რადგანაც აბა, ვინ, რომელი პარტია დათანხმდება ცესკოს მინიჭებული 43.33 %-ის თითქმის 3.5 %-ით დაკლებას, არც ერთი! 40 %-ით ხომ 60 დეპუტატი გამოსდით „ნაცებს“ და არა – 65! ელემენტარული არითმეტიკის წესით მათი ოფიციალური 43.33 % 45 %-მდე უნდა დამრგვალებულიყო, და არა შემცირებულიყო 40 %-მდე, ხოლო „ქართული ოცნების“ 56.67 % კი 55 %-მდე უნდა დამრგვალებულიყო და არა გაზრდილიყო 60 %-მდე (90 დეპუტატამდე)! ეს გაკეთდა მხოლოდ ერთი მიზნით – იმ ხალხის დასაშოშმინებლად, ვინც გაყალბებულ მაჟორიტარულ ოლქებში ხელახალ არჩევნებს ითხოვდა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, „ნაცებთან“ თანამშრომლობა და ხალხის დაბოლებაც ამ დღიდან დაიწყო! პროცენტებით მანიპულირებას ვინ მამაძაღლი მიაქცევდა ყურადღებას, სხვა, მთავარი მოლოდინები რომ გამართლებულიყო. **მიუხედავად მოსახლეობის უმრავლესობის მოთხოვნებისა, უმეტეს რეგიონში საპროტესტო გამოსვლების და შიმშილობების დაწყებისა, გამარჯვებულმა „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოახერხა ხალხის ინტერესების დაცვა და ვადამდელი ადგილობრივი არჩევნების დანიშვნა.** ვიმეორებ, ხალხისთვის, რომელიც სამართლის ზეიმისთვის ემზადებოდა, მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა მიზეზით არ მოხერხდა ეს – ნაცებთან გარიგებით თუ სხვებთან! ხალხი კარგად ხედავს იმ უპირველესენტო დახმარებას, რაც სტიქიით დაზარალებულ რაიონებს გაეწია, ხედავს იმ, ასევე უპრეცედენტო დახმარებასაც, რაც გლეხობას ეძლევა მთელი საქართველოს მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისთვის, და კიდევ ბევრ სხვა სიკეთეს, ამის დაუნახაობა უმადურობა იქნება, მაგრამ ამ ხალხს ისიც მშვენივრად მოეხსენება, რომ **თუ სამართალი არ აღდგა და დამნაშავემ არხეინად იგრძნო თავი, ხვალ-ზეგ იგივე უსამართლობა განმეორდება და არც ახალ ხელისუფლებას გაუჩნდება მომავალში დასჯის შიში.**

ხელისუფლების გაუბედაობამ და მერყეობამ, საკუთარი გუნდის წევრების დაცვის ნაცვლად „ნაცებისთვის“ ბოდიშების მოხდის ყალბმა დემოკრატიულმა ჟესტებმა, შეტევის ნაცვლად სისტემატურად თავის მართლებამ გამოიწვია, ერთის მხრივ, „ნაცების“ გააქტიურება-გაყოყლოჩინობა, განსაკუთრებით, პრეზიდენტადწოდებულის, რომელიც ყოველდღიურად ძაბავს სიტუაციას ქვეყანაში თავისი ცილისმწამებლური განცხადებებით, ხოლო მეორეს მხრივ, – დაპირისპირება (უკვე გამომზეურებული) „ქართულ ოცნებაში“, თავად მოსახლეობაში კი – დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და გაღიზიანება. იმასაც კი ვერ უხსნიან საზოგადოებას, თუ როგორ შეიძლება, რომ პარლამენტის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ცნობილი 200-ზე მეტი პოლიტპატიმრის ციხეებში ჩამყრელი გამომძიებლები, პროკურორები და მოსამართლეები ისევ აგრძელებდნენ თავიანთ პროფესიულ საქმიანობას, თითქოსდა, არც არაფერი მომხდარიყოს.

ვინაიდან საზოგადოებაში იზრდება უკმაყოფილება კოალიცია „ქართული ოცნების“ მიმართ და მის უხერხემლობაზე, არათანმიმდევრულობაზე უკვე საჯაროდაც მსჯელობენ, ამიტომ იმის დასაზუსტებლად, თუ ვინ ვინ არის, ანუ ვინ ხალხის მხარესაა და ვინ – „ნაცების“ ან მათი მფარველების, პარლამენტის უმრავლესობისგან უნდა მოვითხოვოთ პასუხი ორ კითხვაზე და პასუხებიდან ცხადი შეიქნება, **ვენდოთ ბოლომდე 1 ოქტომბერს არჩეულ პარლამენტს, თუ მოვითხოვოთ ვადამდელი არჩევნები.**

სანამ კითხვებზე გადავიდოდე, მანამდე აუცილებელია ორ საარჩევნო წესზე და პლებისციტის თაობაზეც ითქვას.

პრეზიდენტის არჩევის წესი 2013 წელს უნდა დარჩეს პირდაპირი, ანუ პრეზიდენტი ხალხმა უნდა აირჩიოს. **უშუალოდ არჩევნების წინ საარჩევნო წესის შეცვლა ყოვლად მიუღებელია, არაკანონიერია და არაფრით განსხვავდება სააკაშვილის მეთოდებისგან.** ძალიან თავდაჯერებულად კი აცხადებს კოალიცია, რომ მის კანდიდატს კონკურენციას ვერავინ გაუწევს, მაგრამ, ვფიქრობ, რომ შიშობენ – მათ არა აქვთ პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევნებში გამარჯვების იმედი. ამ ვარაუდის დამტკიცება სულაც არ არის ძნელი – პრეზიდენტობის კანდიდატად ბატონი სოსო ცისკარიშვილის დასახელების შემთხვევაში, ვეჭვობ, მას ალასანიამ, ხმალაძემ, ბერძენიშვილმა ან სხვამ კონკურენცია გაუწიონ (არაპირდაპირი წესით, პარლამენტის მიერ პრეზიდენტის არჩევის წესი, მხოლოდ 2018 წლისთვის შეიძლება შევიდეს ძალაში).

მეორე, **მაჟორიტარების არჩევის სააკაშვილის დროინდელი მახინჯი წესი (30 %+1 ხმა პრინციპით) აუცილებლად უნდა შეიცვალოს (50 %+1 ხმა)პრინციპით.** არც ერთი ხელისუფლებისთვის, რაც არ უნდა უკმაყოფილო ჰყავდეს მას მოსახლეობა, 30%-იანი ბარიერის გადალახვა პრობლემას არ წარმოადგენს და, როგორც წესი, გამარჯვება გარანტირებული აქვს. თუ ამ წესს, უფრო სწორად, უწესობას კოალიცია „ქართული ოცნება“ არ შეცვლის, გამოვა, რომ მას არა აქვს მომავალ ან ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების დიდი იმედი. სხვა ახსნა ამ წესის დატოვებას, არ მოეძებნება.

პრეზიდენტის არჩევნების პარალელურად, ისევე, როგორც 2008 წელს, **აუცილებლად უნდა ჩატარდეს პლებისციტი უმნიშვნელოვანეს საკითხთან – „ნატოში“ გაწევრებასთან დაკავშირებით.** როგორც ცნობილია, ამერიკული ენ-დი-აის და აი-არ-აის 2010 წლის მაისში ჩატარებული კვლევებით, 2008 წლის შემდეგ, ორ წელიწადზე ოდნავ მეტ დროში, „ნატოს“ მომხრეთა რიცხვმა მთელი 15 %-ით(!) იკლო და 62 %-მდე დავიდა. ამერიკა-„ნატოს“ მხრიდან სააკაშვილის რეჟიმის 9-წლიანი მხარდაჭერიდან და ამ რეჟიმის მარწუხებში მოქცეული ხალხისადმი აბსოლუტურად გულგრილი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, უკვე აღარავის გაუკვირდება, თუ 2013 წელს ეს მონაცემი 50 %-ქვემოთ იქნება.

რაც შეეხება შეკითხვებს. პრეზიდენტისთვის მთავრობის დათხოვნა-ფორმირების ერთპიროვნული უფლების ჩამორთმევის თაობაზე უმრავლესობამ უმცირესობისგან – თითოეული დეპუტატისგან მოითხოვა პოზიციის საჯაროდ დაფიქსირება, და ძალიან სწორადაც! მოსახლეობას აინტერესებს და უფლებაც აქვს იცოდეს, თუ რომელ ნაცდეპუტატს რა პოზიცია უკავია საკვანძო საკითხებთან მიმართებაში, დემოკრატიული ძვრების მომხრეა, თუ დიქტატორული რეჟიმის შენარჩუნების. ამავე პრინციპით, „ქართული ოცნების“ მხარდამჭერებს აინტერესებთ კოალიციის თითოეული დეპუტატის საჯარო პასუხი იმ კითხვებზე, რომლებზეც აქამდე ვერ მიიღო კონკრეტული პასუხი. ძალიან რომ არ გავუძნელოთ დეპუტატებს პასუხის გაცემა, ამჯერად საგარეო საკითხებზე („ნატო“, რუსეთი) ნუ შევეკითხებით, მხოლოდ ორი საშინაო(!) კითხვა დავსვათ.

პირველი: თვლით თუ არა თქვენ, ბ-ნო დეპუტატო, რომ სააკაშვილი, რომელსაც პრეზიდენტობის უფლებამოსილების ვადა ინაუგურაციიდან ხუთი წლის თავზე, 2013 წლის 20 იანვარს ამოეწურა, და რომლისთვისაც კონსტიტუციის – არც ძველის და არც ახლის (2006 და 2010 წლის შესწორებებით) არც ერთი მუხლი ამ 5-წლიანი ვადის გაგრძელებას არ ითვალისწინებს, არის ყავლგასული პრეზიდენტი, ჰო თუ არა?

და მეორე კითხვა: თვლით თუ არა, რომ, ვინაიდან 2004-2012 წლებში ჩადენილი აბსოლუტურად თითქმის ყველა მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულში მხილებულნი არიან მხოლოდ და მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ ლიდერები და წევრები, ეს ორგანიზაცია უნდა გასამართლდეს, ჰო თუ არა?

ალბათ, გამართლებული იქნება ამ კითხვებს გაერთიანება „ერთსულოვნება“თუ დაუსვამს „ქართული ოცნების“ დეპუტატებს მილიონ ორასი ათასი ხელმომწერის სახელით. დეპუტატები, რომლებიც თავს აარიდებენ პასუხს ან იტყვიან, რომ სააკაშვილი ლეგიტიმური პრეზიდენტია, ან იმას, რომ „ნაცმოძრაობა“ არ არის გასასამართლებელი, მოახდენენ თვითლუსტრაციას და ამომრჩეველი გადაწყვეტს – გამოიწვიოს ისინი პარლამენტიდან თუ პრეზიდენტის არჩევნებთან ერთად მოითხოვოს პარლამენტის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ვადამდელი არჩევნებიც.

სხვანაირად, ჩვენი საშველი, რასაც სამართალი ჰქვია, არასოდეს არ დადგება!

იაკობ ლეჟავა,
20 თებერვალი, 2013

◎ ინფორმაცია

სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგება დასავლეთ საქართველოში დაიწყო

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს, უწყებისა და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენლებმა ბარათები საჩხერის, ჭიათურის, ხარაგაულის და ზესტაფონის მუნიციპალიტეტებში თავად ჩაიტანეს.

მათივე ცნობით, სამინისტროს თანამშრომლებმა ადგილზე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებისთვის ბარათების დარიგებისა და გამოყენების წესების ამსახველი პრეზენტაციაც გამართეს, რომელსაც გამგებლებთან ერთად, საკრებულოს წარმომადგენლები და ყველა ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულები ესწრებოდნენ.

—ხუთშაბათისთვის ჩვენ უკვე დავამთავრებთ ბარათების გადაცემას იმერეთის რეგიონში და გადავინაცვლებთ სამეგრელო-ზემო სვანეთში. მომდენო ეტაპზე, აგროვადების გათვალისწინებით, ბარათები დარიგდება აჭარის, სამცხე-ჯავახეთის, გურიისა და რაჭა-ლეჩხუმის რეგიონებში. მთლიანად საქართველოს მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგების პირველი ეტაპი 10 მარტისთვის დასრულდება, – განაცხადა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობისა და სურსათის დეპარტამენტის უფროსმა კონსტანტინე ხუცაიძემ.

საგაზაფხულო პროგრამის ფარგლებში, აგროვადების გათვალისწინებით სასოფლო-სამეურნეო ბარათების დარიგება ქვემო ქართლის რეგიონიდან დაიწყო. ამ დროისთვის ბარათები უკვე დარიგებულია კახეთის, ქვემო ქართლის, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. საგაზაფხულო სამუშაოები დაწყებულია და ამ ეტაპზე უკვე მოხნულია 2077,45 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მარნეულის, კასპის, ბოლნისის, ქარელისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტებში. სულ მთავრობა და სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი 5 ჰექტარამდე მიწის 640 000-ზე მეტ მესაკუთრეს დაეხმარება. მცირემიწიანი ფერმერები სასოფლო-სამეურნეო ბარათის ფორმით მიიღებენ მათ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის კატეგორიის შესაბამის სარგებელს.

ინტერპრესი

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ „შეღავათიანი დაკრედიტების პროექტი“

ახალი მთავრობის ინიცირებული „მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროექტი“ უკვე ამოქმედდა და საგაზაფხულო სამუშაოების დაწყების პარალელურად ბარათების დარიგების პროცესიც აქტიურად დაიწყო. თუმცა, გლეხების ნაწილი უსასყიდლოდ გაცემულმა სუბსიდიამ დააბნია და სოფლის მეურნეობის მინისტრს ბატონ დავით კირვალიძეს სპეციალური განცხადების გაკეთება მოუწია იმის თაობაზე, რომ ეს არის დახმარების პროექტი და არა სესხი, რომლის დაბრუნებასაც ფერმერებს შემოდგომაზე მოსთხოვენ. სოფლის მოსახლეობის საანკეტო გამოკითხვებით კარდაკარ გადამოწმდა და დადგინდა ყველა მონაცემი, რის საფუძველზეც ფერმერებს ბარათები დაურიგდებათ. გლეხები სასოფლო-სამეურნეო ბარათის ფორმით მიიღებენ მათ სარგებლობაში არსებული მიწის ფართობის კატეგორიის შესაბამის სარგებელს. კერძოდ, 0.25 ჰექტარზე მცირე ზომის სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეები, რომელთა კუთვნილ ნაკვეთებშიც ტექნიკის შესვლა ვერ ხერხდება, მიიღებენ 100 ლარის ღირებულების ნომინალურ სასოფლო-სამეურნეო ბარათს, რომლითაც შეძლებენ შესაბამისი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლისა და ინვენტარის შეძენას. 0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-მდე ფართობის მიწის მესაკუთრეები (ბენეფიციართა ძირითადი ჯგუფი), რომელთაც გააჩნიათ სახნავი ფართობი, მიიღებენ ორი სახის სასოფლო-სამეურნეო ბარათს: ერთ ბარათს - ნიადაგის ხვნისა და ხნულის დადისკვა-გაფხვიერებისთვის, ხოლო მეორე ბარათს, 300 ლარის ოდენობით - სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლისა და ინვენტარის შესაძენად. ის ფერმერები, რომელთაც აქვთ ანალოგიური ფართობის (0.25 ჰა-დან 1.25 ჰა-ს ჩათვლით) მრავალწლიანი ნარგაობა, მიიღებენ მხოლოდ ნომინალურ სასოფლო-სამეურნეო ბარათს 510 ლარის ღირებულებით 1 ჰექტარზე გადაანგარიშებით. ამ ბარათით მათ შეეძლებათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლისა და ინვენტარის შეძენა. 1.25 ჰა-დან 5 ჰა-მდე სახნავი მიწის ფართობის, ან მხოლოდ მრავალწლიანი ნარგაობის მქონე ფერმერები მიიღებენ მხოლოდ ნომინალურ 640 ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ბარათს, რომლითაც შეეძლებათ მხოლოდ შესაბამისი ღირებულების სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლისა და ინვენტარის შეძენა.

პროექტის მიმდინარეობის შესახებ დეტალურად გვესაუბრება სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს დირექტორი ᲖᲘᲝᲠᲖᲘ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ:

დაუბრუნდება ქართველი სოფლის მეურნეობას?

წლეულს წლობით დაუმუშავებელი მიწები მოიხვნება

– სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო სულ ახლახან ჩამოყალიბდა, რომლის მიზანია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ხელშეწყობა. უნდა ითქვას, რომ ძალიან მცირე დროში მოგვიწია მუშაობა. რაც შეეხება საგაზაფხულო პროგრამას, ეს სრულიად ახალი პროექტია საქართველოში, რომლის მსგავსი ჯერ არ განხორციელებულა. არასოდეს ყოფილა, რომ გლეხისთვის ვინმეს უფასოდ მოეხნას მიწა. ქვემო ქართლში უკვე დაიწყო საგაზაფხულო სამუშაოები და დაახლოებით 2000ჰა მიწის ფართობი მოხნულია.

– ხომ არ გამოუთქვამთ გლეხებს უკმაყოფილება, რამდენად საკმარისია შეთავაზებული თანხა?

– გამიკვირდებოდა, ვინმეს უკმაყოფილება რომ გამოეთქვა, რადგან ბარათი არის საჩუქარი. ბუნებრივია, ეს თანხა ყველაფერს არ ეყოფა, ამიტომაც ჰქვია ხელშეწყობის პროექტი. მისი პრინციპი ის არის, რომ ვისაც რამდენი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა აქვს, იმის შესატყვისი სარგებელი მიიღოს. ჩვენ ფულს არ ვარიგებთ, არამედ ვაძლევთ საშუალებას, გლეხს საკუთარი მიწის დასამუშავებელად საჭირო სერვისით დავეხმაროთ. სააგენტომ კონტრაქტი დადო სატრაქტორო კომპანიებთან, რომლებიც ფერმერებს მოემსახურებიან, ამის სანაცვლოდ კი ბარათს გამოართმევენ, რომელსაც ბანკში გაანაღდებენ და მიიღებენ ანაზღაურებას. ანალოგიურად არსებობს მაღაზიების ქსელი, რომლებიც ბარათის სანაცვლოდ გასცემენ იმ ბარათის ღირებულების შესაბამის მასალებს და შემდეგ გაანაღდებენ ბარათს. დაახლოებით 200 აგრომაღაზია გაიხსნება ყველა რაიონულ ცენტრსა და სოფელში.

– რამე მონოპოლიასთან ხომ არ გვექნება საქმე?

– არა, პირიქით, ჩვენ თავიდანვე გარკვეული სტიმული მივეცით და ვთხოვდით, რომ თადარიგი დაეჭირათ, მოემარაგებინათ საჭირო მასალები. ასე რომ, ნებისმიერი მსურველი, რომელიც არის ორგანიზებული მეწარმე, აქვს რეგისტრირებული მაღაზია, შეიძლება გახდეს ჩვენი ბარათის გამნაღდებელი.

– ვაუჩერსა და ბარათს შორის რა განსხვავებაა?

– ვაუჩერი სხვა ტიპის დახმარებასთან ასოცირდება, მათ შორის მთავარი განსხვავება ის არის, რომ ბარათი არ იცვლება თანხაზე. ბარათით ყიდულობ კონკრეტულ სერვისსა და საჭირო მასალას.

– 5ჰა-ზე მეტი მიწის ფართობის მფლობელი რომელ პროგრამაში მოხვდება?

– ფერმერთა 95 პროცენტი არის 5ჰა-ზე ნაკლები მიწის მფლობელები. 5ჰა – ეს არის სახელმწიფო სტანდარტი, რომლის ქვემოთ ფერმერი მცირემიწიანად ითვლება. ჩვენც ამას მივყევით. საგულისხმოა, რომ 2500 კვ. მ.-დან 12 500კვ.მ-მდე ყველა მიწა მოიხვნება. ფერმერი მიიღებს მინიმალურ უნიფიცირებულ 100-ლარიანი ნომინალის ბარათს, ხოლო მაქსიმალური 640 ლარია. ვთქვათ ფერმერი, რომელსაც აქვს 1ჰა მიწის ფართობი, უფასოდ მოხნავს, გააფხვიერებს და, ამასთანავე, მიიღებს 300 ლარის ღირებულების სასოფლო- სამეურნეო მასალას. ამაში იგულისხმება სასუქი, სათესლე მასალა, შხამქიმიკატები, პესტიციდები, თუკი მეცხოველეობას ეწევა – ვაქცინა და ა.შ. შეიძლება შეიძინონ ინვენტარიც კი, მაგალითად: ფოცხი ან სხვა რამ.

– როგორც ცნობილია, მონიტორინგს გაუწევთ ამ პროცესს, ფერმერს რაიმე ვალდებულება ხომ არ ეკისრება?

– ფერმერს არანაირი ვალდებულება არ ეკისრება. შეიძლება ვინმეს არ აქვს მოხვნის სურვილი, მას შეუძლია არ გამოიყენოს ბარათი და არ ჩაატაროს სამუშაოები, ეს მისი უფლებაა, თუმცა, მე ამაში დიდი ეჭვი მეპარება. პასუხისმგებლობა და ვალდებულება არ არსებობს, ერთადერთი, აკრძალულია ბარათის გაყიდვა.

– გაჩუქებაც?

– ყველა ბარათს აწერია მფლობელის სახელი და გვარი, და თუ ფერმერი აიღებს სარგებელს და ვინმეს აჩუქებს, ეს შეზღუდული არ არის. შეიძლება კარგიც იყოს, ვინც არ დაამუშავებს მიწას და არ გამოიყენებს დახმარებას, სხვას გადასცეს.

– რეზონანსი როგორია, რა ინფორმაცია გაქვთ?

– ძალიან კარგი აზრი აქვთ ფერმერებს. წელს წლობით დაუმუშავებელი მიწები იხვნება. შესაბამისად გლეხები მიიღებენ სარგებელს და თავის წვლილს შეიტანენ სოფლის მეურნეობის განვითარებაში. სწორედ ეს არის ამ პროგრამის მიზანი – ფერმერი დავუბრუნოთ მიწას. პრაქტიკულად არ არსებობს გლეხი, რომელსაც ამის შესახებ ინფორმაცია არ აქვს. აბსოლუტურად ყველა გლეხს ვაცნობთ ბარათით სარგებლობის დეტალებს.

– ამბობენ, ქვემო ქართლში დაგვიანებულიც კი არის ხვნა-თესვის პროცესი იმიტომ, რომ იქ შემოდგომით იხვნებაო?

– შემოდგომაზეც იხვნება, რა თქმა უნდა, მაგრამ დაგვიანებული არ არის იმიტომ, რომ საქართველოში აგროვადები მაისის ბოლომდე გრძელდება.თანაც პროგრამა ახალი მთავრობის ინიცირებულია, ამიტომ მისი მომზადება შემოდგომისთვის ფიზიკურად ვერ მოესწრებოდა.

– პროექტის განსახორციელებლად საჭირო თანხა 184 მილიონი ლარი უკვე მობილიზებულია?

– ეს არ არის საბიუჯეტო თანხები, ამ პროექტს აფინანსებს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი, რომელიც ფინანსდება კერძო სახსრებით, და რომელზეც პრემიერმა არაერთხელ გააკეთა განცხადება. თანხები, ბუნებრივია, მობილიზებულია...

– პროექტის ბოლოს მითითებულია, რომ ამ პროგრამის ერთ-ერთი მიზანი საბოლოოდ ფერმერების კოოპერატივებში გაწევრებაა, რა იგულისხმება?

– ერთ-ერთი მიზანი მართლაც ეს არის... იცით რომ, წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობა არაპრიორიტეტულ დარგად ითვლებოდა.

– ძვირი იყო მიწის დამუშავება და ეს პრობლემა გლეხს ყოველთვის გადაუჭრელი ჰქონდა...

– დიახ, და პრობლემაა ისიც, რომ მიწები არის ფრაგმენტირებული. 600 ათასი ბენეფიციარი გვყავს, რომელთა უმეტესობა ფლობს 1,25ჰა მიწის ფართობს, რაც ძალიან პატარა ფართობია იმისთვის, რომ ვისაუბროთ ეფექტიან სოფლის მეურნეობაზე, ანუ გლეხი თავისთვის ამუშავებს მიწას და მასშტაბის ეკონომიას ყურადღებას არ აქცევს მაშინ, როცა, ვთქვათ, ერთად 100ჰა ნაკვეთის დამუშავებას გაცილებით ნაკლები ხარჯი უნდა, ვიდრე ცალ-ცალკე. ახლა, როცა ყველა დაამუშავებს თითო-თითოდ მიწას, მივლენ იმ დასკვნამდე, რომ გაერთიანებულად დახვნა და ერთი და იგივე კულტურის დათესვა უფრო იაფი იქნებოდა. ფერმერები პრაგმატულები არიან და საბოლოოდ გადაწყვეტენ, ერთობლივად დაამუშაონ მიწა. ეს არ ნიშნავს კოლექტივიზაციას, მაგრამ ასევე შეუძლებელია წვრილ- წვრილი მეურნეობები ეფექტიანები გახდნენ. სწორედ ამას გულისხმობს კოოპერატივების შექმნა.

– ალბათ, ამის განვითარებას სხვა ხელშემწყობი პროექტები დასჭირდება.

– დიახ, მზადდება პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს კოოპერატივების განვითარებას და სამართლებრივ საფუძვლებს შეუქმნის მას. და ზემოთ თქვენს კითხვას არ გავეცი პასუხი 5ჰა-ზე მეტ მიწის მფლობელებთან დაკავშირებით... მართალი გითხრათ, ამ პროექტის შესახებ თქვენ გაწვდით ექსკლუზიურ ინფორმაციას. პროგრამას ჰქვია „შეღავათიანი დაკრედიტების პროექტი“, რომელიც მოიცავს სამ კომპონენტს. პირველი არის მცირემიწიან ფერმერთათვის უპროცენტო სასაქონლო კრედიტის გაცემა, ანუ განვადება იმ სასოფლო-სამეურნეო მასალებზე, რისთვისაც ბარათი არ ყოფნით. ეს უფრო მეტად შეეხება სწორედ 5ჰა-ზე მეტი მიწის ფართობის მფლობელებს...

– ამ პროექტმა ხომ არ შეიყვანა გლეხები შეცდომაში, რადგან ზოგიერთს ეგონა, რომ ბარათით მიღებული სარგებლის უკან დაბრუნება მოუწევდა?

– ბარათი საჩუქარია სახელმწიფოსგან, მაგრამ დამატებით საჭიროების შემთხვევაში, მათ შეუძლიათ შეღავათიანი სესხით სარგებლობა. სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდი თანამონაწილე გახდება და საპროცენტო განაკვეთის ნახევარზე მეტს დაუფარავს ფერმერს. მეორე კომპონენტია საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის მოკლევადიანი კრედიტი მათი საბრუნავი სახსრების დასაფინანსებლად. ეს არის 5-100 ათას ლარამდე მოცულობის სესხი. ბანკი იხილავს პროექტს, ფერმერს აძლევს სესხს, მაგრამ ასეთი სესხის მიღების შემთხვევაში სახელმწიფო მას დაუფარავს საპროცენტო განაკვეთის 9 პროცენტს, ხოლო დანარჩენ ნაწილს თვითონ გადაიხდის.

– ბანკმა გარანტად შეიძლება ჩაიდოს მიწა?

– შესაძლებელია ეს იყოს მიწა, მაგრამ აქაც დახმარებას ვუწევთ მსესხებელს. ბანკები აქამდე თავს იკავებდნენ მიწის ჩადებისგან, რადგან მეორადი ბაზარი არ არსებობს. ჩვენ ეს პრობლემა გავითვალისწინეთ და ამ პროექტის ფარგლებში ჩვენი წინადადება შევთავაზეთ ბანკებს: ასეთი სესხის გაცემის შემთხვევაში, თუკი ბანკმა გირაოში ჩადებული მიწა აუქციონზე ვერ გაყიდა, ჩვენ გადავუხდით მას იმ მიწის ნორმატიულ ღირებულებას, რაც რისკის შემცირებას ნიშნავს. და ასევე ჩვენ გადავუხდით ბანკს დაუბრუნებელი სესხის ერთ მესამედს, თუკი მსესხებელმა ვერ დაფარა ვალი.

მესამე კომპონენტი გულისხმობს გადამმუშავებელი და შესანახი ინფრასტრუქტურის საწარმოების შექმნას. იგულისხმება საშრობები, მაცივრები, საწყობები, ნებისმიერი გადამმუშავებელი საწარმო. ამ სფეროში ახალი გადამმუშავებელი საწარმოების სტიმულირების მიზნით მომზადდა პროექტი, სადაც საუბარია უკვე 12-პროცენტიან სუბსიდირებაზე. პრემიერის ინიციატივა ასეთია, რომ 3 პროცენტზე მეტი არ დაუჯდეს მსესხებელს სესხის აღება წელიწადში, ვინაიდან ბანკები ასეთ გრძელვადიან სესხებს საკმაოდ დაბალ პროცენტად გასცემენ. სესხები შვიდწლიანია და სუბსიდიების მაქსიმალური მოცულობა 600 ათასი ამერიკული დოლარია. ამ პროექტის თანადაფინანსებისთვის დაახლოებით 60 მილიონი ლარია გათვალისწინებული. კრედიტების გაცემა, სავარაუდოდ, მარტიდან დაიწყება.

– მართლაც ბევრი საინტერესო პროექტი ჩამოთვალეთ, ისღა დაგვრჩენია, წარმატება ვუსურვოთ ქართველ ფერმერებს...

ესაუბრა
თეა მოსია

◎ მეცნიერება

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიას ახალი პრეზიდენტი ჰყავს

2013 წლის 22 თებერვალს გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება, რომელმაც აირჩია პრეზიდენტი. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად არჩეულია აკადემიის ნამდვილი წევრი აკადემიკოსი ᲖᲣᲠᲐᲛ ᲐᲚᲔᲥᲡᲘᲫᲔ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

თელავის თეატრი. „ბაქო-ჯეიჰანი“, ანუ შვეულმფრენის დასაჯდომი მოედანი

ასე იცის ხალხის აზრის ფეხზე დაკიდებამ!

მოსალოდნელია თუ არა თელავში პარტიზანული მოძრაობა?

თელავის რეაბილიტაციის შედეგების შესახებ პირველი წერილი „საქართველოს რესპუბლიკაში“ სამი თვის წინათ დაიბეჭდა. მას შემდეგ, როგორც იურისტები იტყვიან, მრავალი ახალი გარემოება გამოიკვეთა და ჩვენც, მას მივაპყრობთ მკითხველის ყურადღებას.

ალბათ, გემახსოვრებათ, ერთ-ერთ დიდ კითხვას თეატრთან აღმართული რკინის მილების „ტყე“ ბადებდა. მას თელაველებმა ვერტიკალური და არაბრუნვადი „ბაქო-ჯეიჰანი“ შეარქვეს. შეარქვეს და მოტყუვდნენ კიდეც! მართლაც ძნელია, თუ არა შეუძლებელი, რეაბილიტაციის მამების ფანტაზიებს გასწვდე! თეატრის წინ მოწყობილი ლითონის კონსტრუქცია, თურმე, შვეულმფრენის დასაფრენი მოედნის მოსაწყობად იყო განკუთვნილი! თუ ვისი შვეულმფრენის, ამის გარკვევაზე თავად მკითხველმა იმტვრიოს თავი!

ამ გაბედული და, **ვიტყოდით, მავნე იდეის ბოლომდე მიყვანა-ამოქმედება ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა ხარისხის დისკომფორტს შეუქმნიდა მოსახლეობას** (თუნდაც ხმაურის და მტვრის გამო). მაგრამ, მოდით, სხვაგვარად შევხედოთ ამ ჩანაფიქრს. თუ კარგად დავაკვირდებით, მასში პატრიოტული მომენტია ჩამარხული; ხომ არსებობს რუსული გამოთქმა: — „ს კარაბლია ნა ბალ“, რომელიც კიდევაც იხმარება გარკვეულ წრეებში (რა ვქნა, არ მიყვარს ეს სიტყვა, „ჩარეცხილები“!). ამ იდეის განხორციელების შემთხვევაში, მას ქართული — „შვეულმფრენიდან წარმოდგენაზე“ ჩაანაცვლებდა. როგორია!

ამგვარი „პატრიოტიზმის“ ნიშნები სხვაგანაც იკითხება. ავიღოთ ნადიკვრის ე. წ. „ბესედკები“. რას წარმოადგენდა იგი: მზისა და წვიმისაგან დასაცავად გადახურულ, ძელსკამებიან, მყუდრო ფანჩატურებს (ისე, ფანჩატურიც ბოლომდე ქართული სიტყვა არ უნდა იყოს). ახლა კი, მათ ნაცვლად მოეწყო ღია, რა თქმა უნდა, მსხვრევადი მინით შემოსაზღვრული, ფეხზე სადგომი, ალბათ, საფიხნოები. მერე რა, თუ ის მზისა და წვიმისგან ვერ დაგიცავს (აქ უადგილო არ იქნება, ცოტნე დადიანის მაგალითის მოხმობა. შეგვინდოს მისმა სულმა!). სამაგიეროდ, გვაქვს ქართული საფიხნო, გნებავთ სალაყბო. ადგილი, სადაც უპრიანია, რეაბილიტაციის დამპროექტებელ-შემსრულებლებმა ერთად იმსჯელონ საკუთარი მოღვაწეობის არცთუ ერთმნიშვნელოვან შედეგებზე.

თავიდან ხუმრობად მიიჩნიეს თელაველებმა ჩამოსულთა ნათქვამი, რომ რეაბილიტაცია მათთვის კი არა, ტურისტებისთვის, ანუ გარე ეფექტისთვის კეთდებოდა. მერე და მერე, როდესაც, ფასადს მიღმა, უამრავი პრობლემა დაგროვდა და ბევრი მათგანი დღემდე მოუგვარებელია, მიხვდნენ, რომ საქმე მართლაც ასე ყოფილა. თუმცა, პატარა დამატებით; **მგონი, მშენებლები, ამ ორომტრიალში, მხოლოდ ტურიზმზე ფიქრში არ ათენ-აღამებენ. აკი, საქმეში ჩახედული ხალხის თქმით, რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი თანხის ერთი მეოთხედი, ქალაქს „ასცდა“. დანარჩენი კი საქმეს ისე მოხმარდა, როგორც ეს იუსტიციის(!) სამინისტროს კაბინეტებში მიიჩნიეს საჭიროდ.** მაგრამ, თვით ამ, ხელების ამოგრეხის ფონზეც, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ რეაბილიტაციის შემოქმედნი, პირდაპირი გაგებით, საკუთარ ნებაზე სიარულს აიძულებდნენ თელაველებს!

ქალაქის მთავარ და ყველაზე ხალხმრავალ ერეკლე მეორის ქუჩაზე სულ ოთხი გადასასვლელი იყო. ტრადიციული, უმოკლესი და მოხერხებული, არაერთი თაობით ნატკეპნი. ორი მათგანი, ძველი ბაღის თავში და ბოლოში (თუ გნებავთ, ბოლოში და თავში) დღეს გაუქმებულია. გაუქმებული კია, მაგრამ ხალხი მაინც ჯიუტად გადადის იქ, სადაც მიჩვეულია და სადაც მოსახერხებელია (თვით, გადასასვლელების ჩამკეტ, ახლადმოწყობილი გაზონების გადათელვის ხარჯზეც კი). აქედან დასკვნა; **ხალხის ვინმეს ნებაზე ტარება შეუძლებელია და ზოგჯერ მასაც უნდა აუწყო ფეხი** (არადა, ავტორიტარიზმი, ძალდატანების ყოვლისშემძლეობის მცდარ ილუზიას ქმნის). **აკი მშენებლობის ერთ-ერთ „გენერალს“, როცა თელავში ნაშოვნი ფულით ვაკეში ხუთოთახიანი ბინა უყიდია და ჯიპიც შეუცვლია, უთქვამს: დამღალეს ამ თელაველებმა თავისი პრეტენზიებით, დროა კანარის კუნძულებზე გავფრინდეო.** კანარის კუნძულებისა არ ვიცი და კანარის ჩიტივით, გალიაში რომ ვიხილოთ, ახლა უკვე სამხრეებაყრილი „გენერალი,“ ნამდვილად გასაკვირი არ იქნება. არავინ იფიქროს, რომ ყოველივე ვინმეს ახარებს. მაგრამ, ისიც ნათელია, რომ ნატოევროკავშირში შესასვლელად მოგეზილ ქვეყანაში ელიტარული კორუფციით გაქსუებულ ტიპებს, ხალხის აზრის, ანუ დემოკრატიის, გადაქელვის საშუალება არ უნდა ჰქონდეთ.

არადა, ამის თვალსაჩინო და სამწუხარო მაგალითია „რეაბილიტირებული“ ნადიკვარი.

უფრო საგნობრივად, რომ მივხვდეთ, აქ რა მოხდა, წარმოვიდგინოთ ყველასთვის ნაცნობი, ვთქვათ, „დინამოს“ საფეხბურთო მოედანი (ნადიკვარი უფრო დიდია და განსხვავებული ფორმის, მაგრამ ეს საქმის არსს არ ცვლის). მაშ ასე, გვაქვს მოედანი, რომლის მთავარი ღირსება ბალახის საფარი და ერთიანი სივრცეა. ჩვენ თქვენ გიჩვენებთ ერთიან სივრცეს და ხავერდივით ბალახსო, თქვეს დამპროექტებელ-მშენებლებმა. შუა ხაზზე გაიყვანეს ღრმა თხრილი(!), ცენტრალური წრის ადგილას გადეს ვიწრო ხიდი — ვითომ მოთამაშეთა საკეთილდღეოდ, დასავლეთის კარის საჯარიმო მოედანზე, დაყარეს ნაფლეთი ქვები და ბაყაყების გასახარად, შიგ წყალი „მიმოაბინეს“. გოგია და ხარებას პატრონტაუგადაჭერილი მკერდივით, ყოვლად უადგილო რკინა-ბეტონის საფეხურებით ააჭრელეს მინდვრის ზედაპირი (საფეხურები ისე შორს არის ერთმანეთისაგან, რომ სურვილის შემთხვევაშიც, მათზე მხოლოდ მაღალი, გრძელი ნაბიჯით მოსიარულე კაცი თუ გაივლის. მე არაფერზე არ მივანიშნებ, უბრალოდ ფაქტს აღვნიშნავ). ყველა ამ სიკეთესთან ერთად,მორჩენილ ადგილზე მიჯრით დარგეს ხეები. **და ყოველივე ამის შემდგომ, ფეხბურთელები (ჩვენს შემთხვევაში დამსვენებლები) მოედანზე მიიწვიეს: — ითამაშეთ და ისეირნეთო. უაზრობაა, ხომ. ვისაც არ სჯერა, შეუძლია საკუთარი თვალით დარწმუნდეს, რომ ეს ასეა.**

სხვათა შორის, კარგი იდეაა, თელავში მოვიზიდოთ ტურისტები თემით: რა სავალალო შედეგი შეიძლება მოჰყვეს ქალაქის რეაბილიტაციას მოქალაქეთა აზრის გაუთვალისწინებლად.

ზემოთ მოყვანილი მაგალითი გვაფიქრებინებს, რომ რეაბილიტაციის ავტორების და შემსრულებლებისთვის, სიმწვანე იგივეა, რაც ხარისთვის წითელი. სადაც კი ერთ ღერ ბალახს დაინახავენ, საგანგებოდ დასდევენ ბულდოზერებით და ექსკავატორებით. ასე მოხდა ახალ ბაღში ე. წ. „კუკიაზე“ (აქაც შესცდნენ თელაველები. ბაზალტის გალავან-ზღუდეები კი წააგავს სასაფლაოს, მაგრამ არქიტექტორების ჩანაფიქრით, თურმე, წყალვარდნილი ყოფილა. ვნახოთ, დაველოდოთ ზაფხულს! იქნებ „კუკია“ „ნიაგარად“ იქცეს!). ამ სამწუხარო ნაგებობას მორჩენილი მიწა, იმდენი ასწორეს და აბეტონეს (ბეტონი და ასფალტი, ხომ ფულის მოჭრის ყველაზე ხელსაყრელი საშუალებაა!), რომ სიმწვანე საძებნელი გახდა. ეტყობა დასაბალანსებლად, მოედნის მეორე მხარეს, ბატონის ციხის მიმდებარე ე. წ. ძველ ბაღშიც, იგივე მიზანი დაისახეს; მწვანე გაზონის ხარჯზე, ისედაც ხალვათი საფეხმავლო ბილიკი, ლამის თვითმფრინავის ასაფრენ-დასაფრენ ზოლად აქციეს! აქ, „ბოინგი“ თუ არა „კუკურუზნიკი“, უკაცრავად, „მესიმინდია“ მაინც დაჯდება. როგორია, **ქუჩის ერთ მხარეს შვეულმფრენის, მეორე მხარეს კი — წვეილფრთიანი თვითმფრინავის აეროდრომი! ამის შემდეგ, მართლაც სასაცილოა, რაღაც გადასასვლელებზე წუწუნი.**

არავინ იფიქროს, მართლა გვჯეროდეს, რომ მშენებლებს მწვანე ფერი არ უყვართ! უფრო პირიქით. როცა ის მოშრიალეა და თანაც ამერიკის პრეზიდენტის გამოსახულებით გამაგრებული. ამისთვის კი სამუშაოთა მოცულობის გაზრდაა საჭირო და აკი ყველგან სამშენებლო ფრონტია გახსნილი, მოკაკანე პერფორატორებით თუ სხვა მანქანა-მექანიზმების გუგუნ-დგანდგარით. ქალაქშიც, შესაბამისად, სულ უფრო მცირდება მწვანე საფარი (იხ. ვახვახიშვილების ციხის, ერთ დროს არყის და ცაცხვ-იფნებით დაფარული, ახლა მოშიშვლებული და სამეწყრედ გამზადებული, დასავლეთი ფერდი)

გვინდა, იმედი ვიქონიოთ, რომ ხელისუფლების ცვლილებასთან ერთად, დამთავრდება ბუნებასა და ხალხზე ძალადობა და, რაც მთავარია, გამოსწორდება ბევრი ის ხარვეზი, რის გამოსწორებაც ახლავე, დიდი ხარჯის და ძალისხმევის გარეშეა შესაძლებელი. თანაც მანამდე, სანამ სამშენებლო ფირმებს ერთიანად კანარის კუნძულებისაკენ არ უქნიათ პირი! აკი ნათქვამია, ძაღლი ვინც მოკლა, იმანვე უნდა გაათრიოსო.

რაც შეეხება, სათაურში გამოტანილ პარტიზანული მოძრაობის მოლოდინს. ნადიკვარზე ბოლო ყოფნისას ორდენ-მედლებით მკერდდამშვენებული მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები შევნიშნე. სხვისი მოსმენა რა წესია, მაგრამ დათითოკაცებულნი (დამავიწყდა მეთქვა; ტრადიციული, მოხერხებული, ხის ძელსკამების ნაცვლად, სანიაოზე, ქვაში ნაკვეთი, ერთადგილიანი საჯდომებია მიმოფანტული), ერთმანეთს ხმამაღლა გასძახოდნენ.

— შალიკოო, — ერთი მიმართავდა მეორეს. — **რა ეშველება ამ ხიდს, ან ამ ხრამსო.**

ვალიკომაც არ დააყოვნა (სახელები, გასაგები მიზეზების გამო, შეცვლილია).

— ფრონტზე, უკანდახევისას, ესეთი ხიდები კი აგვიწევია ჰაერშიო და მიმართული აფეთქებით, არც ტრანშეის მიწით ამოვსება გაჭირდებაო.

— ეს ხიდი და ტრანშეა კარგიო, — გასძახა კვლავ შალიკომ. — **მაგრამ ამ, არტურ ლაისტის საყვარელ ხედებს ჩაფარებულ, უადგილო ადგილას დარგულ ხეებს რა მოვუხერხოთო.**

პასუხად, ლესია უკრაინკას ძეგლს ამოფარებული (როგორ აღმოჩნდა უკრაინელ პოეტესას ძეგლი ნადიკვარზე, ეს სხვა, საარჩევნო(!) თემაა.) კაცის ხმა გაისმა: **— ეგ საქმე მე მომანდეთ, ისეთი ქიმიური საშუალებები ვიცი, ყველა ხეს ერთ დღეში გავახმობ.**

ეს კი არ მოეწონათ ვეტერანებს, ერთხმად უპასუხეს: — ფაშისტები ხომ არ ვართო.

ძეგლს ამოფარებულმა კაცმაც დაიმორცხვა: **— ისე ვთქვი, მავანთა შესაშინებლად, იქნებ, სანამ ფესვი გაუდგამთ, ნერგების სხვაგან გადარგვაზე იფიქრონ, თორემ, განა მე ხის სიყვარული მესწავლებაო.**

მივხვდი, მესამე, გამწვანების ღვაწლმოსილი მუშაკი იყო. ბუნების ტრფიალი, ისე გაემწარებინა გარემოებას, რომ პროფესიის ღალატიც კი გაივლო გულში!

ვეტერანთა შემყურემ, გავიფიქრე, ალბათ, ადგილობრივი და განსაკუთრებით ცენტრალური ხელისუფლება, ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს პატიოსანი ხალხი, უნებლიედ, საკუთარ სამშობლოში, ამფეთქებელ-მნგრეველ პარტიზანებად არ იქცნენ-მეთქი.

ვნახოთ, დრო გვიჩვენებს!

ზურაბ არსენიშვილი

ნადიკვრის რკინა-ბეტონის ხევი, ხიდითურთ.

ახალი ბაღი „კუკია“.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ კვალი დროში



სულ რაღაც ორმოცი დღეა გასული, რაც გარდაიცვალა ცნობილი პედიატრი, საქართველოს პედიატრიული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი პროფესორი ირაკლი ციციშვილი. ბატონი ირაკლი იმ მედიკოსთა პლეადას განეკუთვნება, ვინც თავისი დაუღალავი შრომით ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოს პედიატრიული სამსახურის განვითარებაში. დღეს მისი ყველა ახლობელი და მეგობარი დანაღვლიანებული შევიკრიბებით ირაკლის საფლავთან, ცრემლით მოვიგონებთ მის მიერ განვლილ უმწიკვლო გზას და ვილოცებთ, რომ მისი ლამაზი სული სასუფეველში ამყოფოს უფალმა. მოსაგონარი კი საზოგადოებას მან მართლაც ბევრი დაუტოვა.

დრო გავა, მაგრამ ხსოვნის ნათელი მუდამ იციაგებს...

დიდი პედიატრის ირაკლი ციციშვილის მოსაგონარი

ბატონი ირაკლი ციციშვილი დაიბადა 1922 წლის 12 სექტემბერს ღრმად ერუდირებული ინტელიგენტის ოჯახში. მამა სამხედრო ოფიცერი იყო, ხოლო დედა — ცნობილი ექიმი, მეან-გინეკოლოგი. ოჯახის დიდმა ტრადიციულმა ადათ-წესებმა და აღზრდის სწორმა მიდგომამ გავლენა იქონია ბატონი ირაკლის პიროვნების ჩამოყალიბებაზე. საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე თავის ერთ-ერთ ეპისტოლეში აღნიშნავს: „როგორც შეიცნობ შენსა სამყაროს, ისე იქნება შენი ცხოვრებაც“. ბატონმა ირაკლიმ სწავლა დაიწყო თბილისის მე-18 საშუალო სკოლაში, მაგრამ 1937 წელს მასობრივ რეპრესიებში მოხვდნენ მისი მამა და ოჯახის რამდენიმე წევრი. პროტესტის ნიშნად, ბატონმა ირაკლიმ, ამხანაგებთან ერთად, ფარული ანტისაბჭოთა ორგანიზაცია ჩამოაყალიბა, რომელიც 1 წლის განმავლობაში ფუნქციონირებდა. შემდეგ, დასმენის გამო, ამ ორგანიზაციის წევრები დაიჭირეს და 13 თვის განმავლობაში პატიმრობაში ამყოფეს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ, ბატონი ირაკლი 1941 წ. წარჩინებით ამთავრებს ქ. თბილისის 25-ე სკოლას და იმავე წელს სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში.

1946 წელს, უკვე დიპლომირებული ექიმი, მუშაობას იწყებს სამედიცინო ინსტიტუტის საფაკულტეტო პედიატრიის კათედრაზე პროფესორ ვლადიმერ თოხაძის ხელმძღვანელობით. აქ მან დიდი გზა გავნლო ექიმი ორდინატორიდან კათედრის პროფესორამდე. კლინიკაში მუშაობის პერიოდში ბატონმა ირაკლიმ დიდი ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება შეიძინა. მას მუდამ ფაქიზი დამოკიდებულება ჰქონდა თავის პატარა პაციენტებთან და მომნუსხველ გავლენას ახდენდა მათზე. მას არასოდეს დაუშურვებია სიყვარული, სითბო და ძალისხმევა თავისი პაციენტების ჯანმრთელობისათვის, ასევე უშურველად გადასცემდა თავის უდიდეს პროფესიულ გამოცდილებას ახალგაზრდა კოლეგებსა და მოწაფეებს. ბატონი ირაკლი უპირატესობას ექიმის ზნეობრივ პრინციპებს ანიჭებდა. მას ღრმად სწამდა, რომ ადამიანი ვერ გახდება ჭეშმარიტი ექიმი, თუ იმთავითვე არ ჩამოყალიბდა, როგორც სანიმუშო მოქალაქე, სპეტაკი მსახური თავისი ერისა.

ირაკლი ციციშვილი იყო ჩვენი საზოგადოების ბრწყინვალე წარმომადგენელი, კაცთმოყვარე, პრინციპული, შესანიშნავი პედაგოგი, პრაქტიკოსი ექიმი და მეცნიერი. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას მისი, როგორც ქველმოქმედის, თვისებებს. კაცი, რომელიც სულ იმის ფიქრში იყო, როგორ დახმარებოდა გაჭირვებულ ადამიანებს, თავისი საკუთარი ნაღვაწის თითქმის ნახევარს იგი და მისი მეულლე, ქალბატონი დოდო, ამ კეთილშობილურ საქმეს ახმარდნენ. ბატონი ირაკლის საქმიანობიდან გამომდინარე, იგი იყო ნამდვილი სახალხო ექიმი. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მთასა და ბარში ძნელად მოიძებნება ოჯახი, რომლის ერთ წევრს მაინც არ შეხებოდა მისი თბილი ხელი, არ ყოფილიყო მისი პაციენტი.

ბატონი ირაკლის ხანგრძლივი ცხოვრება ყოველთვის ია-ვარდით არ ყოფილა მოფენილი, მას ხშირად უხდებოდა მუშაობა ურთულეს პირობებში. თუნდაც ავიღოთ საქართველოში არსებული ვითარება, როდესაც პედიატრიულ სამსახურს ძალიან უჭირდა. ის, როგორც ერთგული ჯარისკაცი, ყოველთვის იდგა თავისი საქმის სადარაჯოზე და დაკისრებულ ვალდებულებებს პირნათლად ასრულებდა. მომავლის იმედი არ დაუკარგავს, ფარხმალი არასოდეს დაუყრია. წინ მიისწრაფოდა და ნათელ მომავალს შენატროდა.

ბატონი ირაკლი იყო საქართველოს პედიატრიული აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მისი შეუცვლელი პრეზიდენტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის კათედრის პროფესორი და პედიატრიული ფაკულტეტის დეკანი. მცირე ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა საქართველოს პედიატრიის ს/კ ინსტიტუტს, იყო მრავალი დარგობრივი ასოციაციის საპატიო წევრი და სხვა. ბატონი ირაკლი თავისი ხანგრძლივი მოღვაწეობის დაფასების მოწმე სიცოცხლეშივე გახდა: იყო თბილისის საპატიო მოქალაქე, დაჯილდოებული იყო ღირსებისა და ბრწყინვალების ორდენებით. მას საქართველოში პირველად გაუხსნეს მისი სახელობის ვარსკვლავი, ბავშვთა ახალ კლინიკას მიანიჭეს ირაკლი ციციშვილის სახელი. გვინდა გავიხსენოთ, რომ ეს ღონისძიება გასული წლის დეკემბრის ბოლოს ჩატარდა, რის შემდეგაც გაიმართა მეგობრული ვახშამი, რომელსაც ესწრებოდნენ ოჯახის წევრები, ახლო ნათესავები, მეგობრები და კლინიკის თანამშრომლები. იმ საღამოს, ბატონმა ირაკლიმ ყველას უწილადა გულწრფელი სიყვარული, ყველას მოეფერა. ფაქტობრივად, ეს აღმოჩნდა საზოგადოებასთან და ახლობლებთან მისი გამოსამშვიდობებელი, უკანასკნელი საღამო.

წავიდა ჩვენგან გულმხურვალე მამულიშვილი, კაცთმოყვარეობითა და ღირსებებით გამორჩეული, ყველასაგან აღიარებული პროფესიონალი, ნამდვილი ინტელიგენტი, ბრწყინვალე მეუღლე, მისაბაძი მამა, მზრუნველი ბაბუა და სასიამოვნო მეგობარი.

ბატონი ირაკლი სიკვდილის წინ მივიდა სამსახურში, სამუშაო კაბინეტში ჩაიცვა თეთრი ხალათი, რომელსაც ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე არასოდეს სცხებია შავი ლაქა და საკუთარ მაგიდასთან განუტევა სპეტაკი სული.

დრო გავა, ირაკლი ციციშვილის ხსოვნა მარადიული იქნება, მადლიერი ადამიანების მიერ დანთებული სანთელი მუდამ იციაგებს მისი სიყვარულისა და ხსოვნის სიმბოლოდ.

საქართველოს პედიაგრთა ასოციაციის
სახელით, პროფესორი
ავთანდილ კვეზერელი-კოპაძე

◎ ინფორმაცია

„ორთაჭალის კრიტმა“ ჭირი მოგვჭამა

სასჯელაღსრულების 31 დაწესებულება, ე.წ. ორთაჭალის კრიტი საბოლოოდ დაიხურა. სასჯელაღსრულების სამინისტროს ინიციატივით, დახურვის დღეს აღნიშნული დაწესებულების დათვალიერება მედიის წარმომადგენლებმა შეძლეს, მედიასთან ერთად დაწესებულებაში საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

რაც შეეხება შენობის მომავალს, როგორც სასჯელაღსრულების მინისტრმა სოზარ სუბარმა აღნიშნა, რამდენიმე იდეა არსებობს, მათ შორის შესაძლოა შენობა მუზეუმს გადაეცეს. ამასთან მინისტრის თქმით, დაწესებულებაში ამნისტიის შემდეგ 600-მდე პატიმარი დარჩა, რომელთა ნაწილს დახურული ტიპის დაწესებულებაში ყოფნის ვადა ამოეწურა და ისინი სხვადასხვა ნახევრადღია დაწესებულებაში გადანაწილდნენ. პატიმრებს, რომლებსაც დახურული ტიპის დაწესებულებაში ყოფნის ვადა კიდევ დარჩათ, მათი უმეტესობა რუსთავის №6 დახურული ტიპის დაწესებულებაში გადანაწილდა, ნაწილი კი გლდანში გადაიყვანეს. სოზარ სუბარის თქმით, ოკუპაციის დღეს სიმბოლურად დაემთხვა აღნიშნული დაწესებულების დახურვა.

ინტერპრესი

◎ დავით აღმაშენებლის პრემია

„იგი მაღალზნეობრივ და სამშობლოს სიყვარულით გამთბარ ნაწარმოებებს ენიჭება...“

***საქართველოს** ხალხთა მსოფლიო კონგრესის ორგანიზებით, წლეულს მეოთხედ გაიმართა ისტორიულ-ლიტერატურული პრემიის „**დავით აღმაშენებლის**“ გამარჯვებულთა დაჯილდოება. კონკურსს რუსეთში მცხოვრები ქართველი ბიზნესმენი **ალექსანდრე ებრალიძე** აფინანსებს. ბატონი ალექსანდრე ებრალიძე შეხვედრის მონაწილეებს სანკტ-პეტერბურგიდან სკაიპით დაუკავშირდა.*

დაჯილდოების შემდეგ ინტერვიუ ვთხოვეთ საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალის დირექტორს, კონკურსის ორგანიზატორს, ქალბატონ ნანა ჯაფარიძეს.

— ქალბატონო ნანა, თქვენი სახელი განუყრელად დაუკავშირდა ისტორიულ-ლიტერატურული პრემიის „დავით აღმაშენებლის“ სახელს. ამ პრემიას ია-ვარდით მოფენილი გზა არ ჰქონია და ესეც ერთ-ერთი მაგალითია იმისა, როგორ ებრძვის ქართველთა ერთი ნაწილი მართლაც მამულიშვილურ საქველმოქმედო საქმეს. რატომ მოხდა ასე?

— მე ვიტყოდი, რომ ეს პრემია ჩემს სახელს მხოლოდ იმიტომ დაუკავშირდა, რომ ამ კონკურსს ორგანიზაციულად ვუზრუნველვყოფ. სინამდვილეში კონკურსი იმ ადამიანის სახელთანაა დაკავშირებული, ვინც იგი მოიფიქრა, დააფინანსა და აგერ უკვე მეოთხე წელია, წარმატებით ატარებს. კონკურსს ნამდვილად არ ჰქონია იოლი გზა და, როგორც ვხედავ, არც ექნება. თუმცა, ერთი სირთულე უკვე მოგვეხსნა. ყოფილი ხელისუფლების დროს დევნიდნენ როგორც ამ პროექტს, ისე მის ლაურეატებსაც, სხვადასხვა გზითა და ფორმით. განსაკუთრებით მძიმე იყო სატელევიზიო თავდასხმები.

მართლაც, მძიმე ფსიქოლოგიური ზეწოლა გამოვიარეთ. მეორე სირთულე კი ალბათ ყველა კონკურსისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა, ეჭვი მეპარება, რომელიმე ქვეყანაში ასე გამძაფრებული იყოს ურთიერთშორის ქიშპი, უნდობლობა და თუ გნებავთ — ულმობლობაც. ეტყობა ეს დიდი ხნის სენია, რადგან ჯერ კიდევ რუსთველი წერდა „...მაგრამ იტყვის ჩემი სჯობსო, უცილობლობს ვითა ჯორი“. ანუ, ის მინდა გითხრათ, რომ ხელისუფლების თავდასხმები „დაგვეხსნა“, მაგრამ უპრემიოდ დარჩენილი ავტორების თავდასხმები კვლავ გრძელდება.

— მართალია, პრემიის დამფუძნებელი რუსეთში მოღვაწე ბიზნესმენია, მაგრამ თქვენი წვლილი დიდია ამ საქმეში. თქვენ გენდობათ ბატონი ალექსანდრე ებრალიძე. ვინ არის სინამდვილეში ბატონი ალექსანდრე, ვისაც თქვენ ბავშვობიდან იცნობთ?

— ნიჭიერი, გონიერი, გამრჯე, მართალი, ამაყი და თავის სამშობლოზე შეყვარებული ადამიანია. ასეთ ადამიანებს დახასიათება არ სჭირდება. მოხდა ისე, რომ საქართველომ იგი ისეთ პერიოდში გაიცნო, როდესაც განურჩევლად დევნიდნენ ყველას და ყველაფერს, რაც რუსეთთან იყო დაკავშირებული, რის გამოც საზოგადოების დიდ ნაწილს იგი უარყოფით გმირად დაამახსოვრეს. 2012 წლის შემოდგომაზე კი, როდესაც მართლა იგრძნო ხალხმა თავისუფლების ფასი, პირველი ის ადამიანები მოვიდნენ თავიანთი ნაწარმოებებით, ვინც 2009 წელს ხელისუფლების ზეწოლით საკუთარი ნაწარმოებები კონკურსიდან მოხსნეს. ეს ყველაფრის მთქმელი იყო.

ამ მოკლე პერიოდში ბატონი ალექსანდრე ორი აკადემიის საპატიო წევრად აირჩიეს და გამოჩენილმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ღიადაც დაუჭირეს მხარი მისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებას. მიხარია, რომ მის გარშემო შექმნილი შავი ბურუსი იმ ხელისუფლებას გაჰყვა, ვინაც ეს ბურუსი შექმნა.

— მკითხველისთვის საინტერესოა თქვენი ბიოგრაფია, იმ ადამიანისა, ვინც ამ გაუსაძლის წლებში, პრემირებული ქართული ინტელიგენციის გამორჩეულ ნაწილს, ღირსების გრძნობასთან ერთად, სტიმული მისცა შემოქმედებითი საქმიანობის გაგრძელებისთვის... გვიამბეთ თქვენზე?

— ბათუმში, პედაგოგების ოჯახში დავიბადე. 15 წლის ვიყავი, როდესაც ოჯახი თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად. დავამთავრე ტექნიკური უნივერსიტეტის ავტომატიკისა და გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტი. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სპეციალობა რადიკალურად შევიცვალე. ვიყავი საქართველოში ამერიკის პირველი ელჩის პროტოკოლის თანაშემწე და პირადი თარჯიმანი, ხოლო შემდეგ, 14 წლის განმავლობაში, საქართველოს პარლამენტში საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტს ვხელმძღვანელობდი. უამრავ საინტერესო ადამიანს შევხვედრივარ, ბევრი საინტერესო შეხვედრა მითარგმნია...

— პარლამენტში მუშაობის 14 წლის პერიოდიდან რა გახსენდებათ ყველაზე საინტერესოდ?

— ეს დიდი თემაა, ამიტომ სხვა რამეს გავიხსენებ. ზუსტად ხუთი წლის წინათ უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის 75 წლის იუბილის ორგანიზაციული მომზადების ხელმძღვანელობა დამავალეს. ეს ჩემთვის დიდი პატივი იყო. ღვთის ნებით ყველაფერმა ძალიან კარგად ჩაიარა და უწმინდესმა მთელი დეპარტამენტი თავისთან მიგვიწვია და მადლობა გვითხრა, თან თითოეულ ჩვენგანს ულამაზესი ჯვრები გადმოგვცა. ეს დღე მართლაც დაუვიწყარია ჩემთვის, თუმცა საპატრიარქოს ხშირი სტუმარი ვიყავი.

იხ. 9 გვ.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

თბილისის მერს არასაპრეზიდენტო ვადა ემუქრება

თბილისის მერის გიგი უგულავას, რომელსაც მიხეილ სააკაშვილის უახლოეს თანამებრძოლსა და პრეზიდენტობის პოტენციურ კანდიდატს უწოდებენ, წაუყენეს ბრალდება სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის. საქმესთან დაკავშირებით მოწმე შეიძლება გახდეს თავად სააკაშვილი. სახელმწიფოს მოქმედი ხელმძღვანელის მომხრეები ბრალს სდებენ პრემიერ ბიძინა ივანიშვილსა და მმართველ კოალიცია „ქართულ ოცნებას“ „პოლიტიკურ რეპრესიებში“.

ბრალდება გიგი უგულავას წაუყენეს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის შენობაში, სადაც იგი დაკითხვაზე დაიბარეს შაბათს. გამომძიებელთან თბილისის მერს მიაცილებდა მომხრეების დიდი ჯგუფი, რომელიც გამოეხმაურა მოწოდებას სოციალურ ქსელებში „მოვიდნენ გიგის მხარდასაჭერად“. დაპატიმრების შემთხვევისთვის უგულავამ მიიღო სხვა ზომებიც, რათა, მისი სიტყვებით, „**პრემიერმა ივანიშვილმა ვერ შეძლოს ხელში ჩაიგდოს დედაქალაქის მერია**“. მან თბილისის პირველ ვიცე-მერად ქალაქის საკრებულოს დეპუტატი, ავტორიტეტული ადვოკატი სევდია უგრეხელიძე დაასახელა, ერთ-ერთ თავის მოადგილედ კი – პრეზიდენტის პარტიის „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელი, ყოფილი პრემიერი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ექსხელმძღვანელი ვანო მერაბიშვილი. ამრიგად, უგულავას დაპატიმრების შემთხვევაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ინარჩუნებს კონტროლს დედაქალაქის მერიაზე.

სხვათა შორის, ქალაქის ხელმძღვანელის დაპატიმრებას, როგორც ჩანს, არ აპირებდნენ. „**მისი დაპატიმრება რომ გვდომებოდა, ამის გაკეთება შეგვეძლო უშალვე ოფიციალური განცხადების შემდეგ ბრალდების წაყენების შესახებ**“, – განაცხადა წინა დღით „იმედის“ პირდაპირ ეთერში გენერალურმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა. როგორც ექსპერტებს მიაჩნიათ, თბილისის მერი დაპატიმრებას დასავლეთმა გადაარჩინა. უკანასკნელი კვირების განმავლობაში ევროკავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები და ნატოც კი არაერთგზის აფრთხილებდნენ საქართველოს ახალ ხელისუფლებას „შერჩევითი სამართლიანობის“ მიუღებლობის შესახებ.

ქალაქის მერის ადვოკატმა გოგიტა გაბაიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ უგულავამ გამოიყენა დუმილის უფლება, ამიტომ გამომძიებლებმა მხოლოდ წაიკითხეს მისთვის წაყენებული ბრალდებანი – სხვისი ქონების მითვისება და განსაკუთრებით დიდი ოდენობის ფულის გათეთრება სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. საკითხი შეეხება ორ ეპიზოდს. პირველი დაკავშირებულია ტელეკომპანია „იმედთან“, რომელიც დააფუძნა 2003 წელს ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა. გამოძიების ვერსიით, 2008 წელს საქართველოს ხელისუფლებამ აიძულა ამერიკელი ბიზნესმენი ჯოზეფ ქეი, რომელსაც იმ დროისთვის ეკუთვნოდა ტელეკომპანია, გაეფორმებინა იგი ეკონომიკის ექსმინისტრის გიორგი არველაძის სახელზე. „**მას შესთავაზეს გარიგება: თუ ჩააბარებს ტელეკომპანიას სააკაშვილის გუნდს, მერია მას 10 მილიონ დოლარს გადაუხდის. თანაც ფული გადაურიცხეს ქალაქის ბიუჯეტს ცენტრალური ბიუჯეტის ტრანსფერის სახით თბილისის ცენტრში უძრავი ქონების გამოსასყიდლად**“, – განმარტა ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა. როგორც საგამოძიებო დეპარტამენტში მიაჩნიათ, უგულავა კურირებდა გარიგებას და აძლევდა ქეის პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, თუ რა უნდა გაეკეთებინა.

გენერალურმა პროკურორმა არ გამორიცხა დაკითხვაზე საქმესთან დაკავშირებით პრეზიდენტ სააკაშვილის გამოძახებაც. „**ჯოზეფ ქეის ჩვენების თანახმად, მასზე ზემოქმედებას ახდენდა პირადად მიხეილ სააკაშვილი სატელეფონო საუბრის დროს**“, – განმარტა არჩილ კბილაშვილმა.

მეორე ეპიზოდი შეეხება ფიქციურ სამუშაო ადგილებს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ასობით აქტივისტისთვის. გამოძიების მონაცემებით, მათ ხელფასისთვის გამოეყო 2,5 მილიონი დოლარი.

„ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში“ მიუთითებენ იმაზე, რომ სისხლის სამართლის საქმე უგულავას წინააღმდეგ დაიწყეს მას შემდეგ, რაც გამოაცხადეს პროპრეზიდენტული პარტიის გეგმების შესახებ – გამართოს 19 აპრილს თბილისის ცენტრში „გრანდიოზული მიტინგი“, რომელზეც მიხეილ სააკაშვილი აპირებს დაასახელოს თბილისის მერი თავის მემკვიდრედ და პრეზიდენტობის კანდიდატად ოქტომბრის არჩევნებში.

მთლიანად ორივე მუხლით გიგი უგულავას ემუქრება 23 წლით თავისუფლების აღკვეთა. თუმცა, ექსპერტების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ თბილისის მერის დაპატიმრება ახალ ხელისუფლებას გაუჭირდება. „**დასავლეთი უკვე აკრიტიკებს ივანიშვილის მთავრობას „შერჩევითი სამართლიანობის“ გამო**“, – გვითხრა ერთ-ერთი საინფორმაციო სააგენტოს ექსპერტმა ნიკა იმნაიშვილმა. – და ვინაიდან უგულავა ითვლება ყველაზე რეალურ კანდიდატად პრეზიდენტის პოსტზე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, კრიტიკა მხოლოდ გაძლიერდება, და გარკვეულწილად იგი გაიმეორებს უკრაინულ სიტუაციას“.

Коммерсантъ

სააკაშვილის პარტიამ სოჭის ოლიმპიადის ბოიკოტის გეგმა შეიმუშავა

პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პარტიას „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ იმედი აქვს, რომ ჩაშლის საქართველოს მონაწილეობას სოჭის ოლიმპიურ თამაშებში მომავალი ზამთრისთვის. საბოლოო გადაწყვეტილებას სპორტსმენების თამაშებზე გაგზავნის შესახებ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მიიღებს აპრილის ბოლოს, და მანამდე სააკაშვილის თანამებრძოლებს განზრახული აქვთ მოახდინონ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტზე მაქსიმალურად შესაძლებელი ზემოქმედება.

საქართველოს პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ, დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ შოთა მალაშხიამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ მათმა პარტიამ შეიმუშავა მოქმედების გეგმა, რომლის განხორციელებასაც დაიწყებს ორშაბათიდან, 25 თებერვლიდან. ამ დღეს საქართველოში აღნიშნავენ „ოკუპაციის დღეს“ 1921 წელს წითელი არმიის მიერ ქვეყნის გასაბჭოების აღსანიშნავად.

– ჩვენ შევთავაზებთ ყველა პოლიტიკურ პარტიას, მათ შორის არასაპარლამენტო პარტიებსაც, ხელი მოაწერონ ერთობლივ განცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველოსთვის მიუღებელია ოლიმპიადა იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომელმაც მოახდინა ჩვენი მიწების 20 პროცენტის ოკუპაცია, და რომ სოჭში ჩვენი ნაკრები გუნდის გაგზავნა არ შეიძლება, – თქვა დეპუტატმა. – თამაშებისთვის მომზადების გამო ზიანი მიადგა რეგიონის ეკოლოგიას, ამას გარდა, ოლიმპიადის ადგილზე მეცხრამეტე საუკუნეში განხორციელდა ჩერქეზი ხალხის გენოციდი (საქართველო მსოფლიოს ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც ოფიციალურად აღიარა ამ გენოციდის ფაქტი. – „იზვესტია“).

შოთა მალაშხიამ გვაცნობა, რომ პარტიებთან შეთანხმებული დოკუმენტი ბოიკოტის მოწოდებით გაჩნდება მარტში. დეპუტატს მიაჩნია, რომ ეს გავლენას მოახდენს გადაწყვეტილებაზე, რომელიც აპრილში უნდა მიიღოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა თამაშებში მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით.

– პოზიციას ჩვენ აქტიურ პროპაგანდას გავუწევთ უცხოეთში: ჩერქეზეთის ორგანიზაციების მეშვეობით კანადაში, გერმანიაში, პოლონეთში, თურქეთსა და სხვა ქვეყნებში, მათ შორის, თავად რუსეთშიც, – თქვა მან.

საკმაოდ პოპულარული არასაპარლამენტო პარტია „ახალი მემარჯვენეები“, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“ ცუდი ურთიერთობის მიუხედავად, ასევე გამოვა სოჭში ქართველი სპორტსმენების გაგზავნის წინააღმდეგ.

– თამაშების პრაქტიკაში იყო პოლიტიკური პროტესტების მაგალითები, საქართველოსაც შეუძლია წავიდეს ამაზე, – გვითხრა „ახალი მემარჯვენეების“ თავმჯდომარემ ფიქრია ჩიხრაძემ. – რუსეთი ჩვენ არ გვითმობს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, უფრო მეტიც, ფიქრობს, თუ როგორ ჩართოს თამაშებში აფხაზი და სამხრეთოსეთელი სპორტსმენები. უნდა გამოვიჩინოთ პოლიტიკური პრინციპულობა და ბოიკოტი გამოვუცხადოთ ოლიმპიადას.

„ქართულ ოცნებაში“ ოპოზიციის აქტივობას სკეპტიკურად უყურებენ.

– სააკაშვილის პარტია ვერ მიაღწევს შედეგს ბოიკოტთან დაკავშირებით, – დარწმუნებულია პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში შოთა ხაბარელი. – დარწმუნებული ვარ, რომ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი მიიღებს პოზიტიურ გადაწყვეტილებას ჩვენი ნაკრების მონაწილეობის შესახებ ამ თამაშებში. წინააღმდეგ შემთხვევაში დაზარალდება მთელი ქართული სპორტი, ვინაიდან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი თავისი წესებით არ დაუშვებს საქართველოს სხვა მომდევნო ზაფხულისა და ზამთრის ოლიმპიადებში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი ჯერ კიდევ გასული წლის ბოლოს დაგვპირდა, რომ მისი ქვეყანა სოჭში გაგზავნის თავის სპორტსმენებს. მისი სიტყვებით, „ამ ოლიმპიადაში მონაწილეობა მნიშვნელოვანია რუსეთთან როგორც ურთიერთობათა მოწესრიგების თვალსაზრისით, ისე თავად საქართველოს სპორტსმენებისთვის“. პოზიციის უცვლელობა ამ დღეებში დაადასტურა საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ, რომელმაც განაცხადა, რომ უკვე პირველ მარტს მოლაპარაკების პირველ რაუნდზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობებში ზურაბ აბაშიძე და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი შეეხებიან ამ ოლიმპიურ თემატიკას.

– ჩვენ ამასთან დაკავშირებით ვიმუშავებთ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, – გვითხრა ზურაბ აბაშიძემ. – მთავარია, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი წინააღმდეგია ამ საკითხის პოლიტიზაციისა და ძირითად პრობლემებს გადაწყვეტს ჩვენი ოლიმპიური კომიტეტი თავის პარტნიორებთან ერთად.

აღსანიშნავია, რომ, როდესაც საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება 2014 წელს სოჭში ოლიმპიადის გამართვის შესახებ, მიხეილ სააკაშვილმა დაუყოვნებლივ მიულოცა რუსეთის ხელმძღვანელებს. მაგრამ ეს იყო ჯერ კიდევ 2008 წლის მოვლენებამდე. ომის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა სოჭს „ეთნიკურად გამოთავისუფლებული ტერიტორია“ უწოდა, სადაც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა რუსეთის იმპერიის მიერ ჩერქეზების გენოციდი.

როგორც ჩვენთან საუბარში საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლერი ხაბელოვმა განაცხადა, საქართველო, ალბათ, სოჭში ათამდე სპორტსმენს გაგზავნის.

საქართველოში ტრადიციულად კარგად არის განვითარებული სპორტის ზაფხულის სახეობები. რაც შეეხება ზამთრის სახეობებს, საქართველოს მთავარი ოლიმპიური იმედი – ეს არის ფიგურისტი ელენე გედევანიშვილი. ის არის ევროპის ჩემპიონატების ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი, ცხოვრობს და ვარჯიშობს კანადაში.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

დედამიწის ზურგზე

ლონდონის უნივერსიტეტი სტუდენტებს გადაუხდის დიდ თანხას კოკაინის გამოყენებისთვის მეცნიერების სასარგებლოდ

მოხალისეთა ძებნის მიზნით სამეფო კოლეჯმა თავის მოსწავლეებს გაუგზავნა სათანადო წერილი. მონაწილეები სამი თვის განმავლობაში სულ ცოტა ხუთჯერ მაინც უნდა მივიდნენ ადგილზე დოზის მისაღებად. ამის შემდეგ მათ აუღებენ სისხლის, შარდის, თმების, ოფლისა და ნერწყვის ანალიზებს ორგანიზმში მძიმე ნარკოტიკების განსაზღვრისთვის. მოხალისეებს ჰპირდებიან, რომ გადაუხდიან „საგრძნობ კომპენსაციას“.

* * *

ლას-ვეგასის პოლიციამ გამოავლინა „მასერატის მსროლელი“, რომლის მსხვერპლიც სამი კაცი გახდა

ავარია ექვსი მანქანის მონაწილეობით მოახდინა 26 წლის ამარ პარისმა, რომელიც უჯდა საჭეს „რენჯ როვერში“ და დაიწყო ურთიერთობის გარკვევა „მასერატის“ მძღოლთან კენეტ ჩერისთან. ურთიერთ სროლის დროს ჩერი დაიჭრა, დაკარგა მართვის უნარი და დაეჯახა ხუთ მანქანას. „შეიარაღებულ და სახიფათო“ პარისზე გამოცხადებულია ძებნა.

* * *

მავრიკიის ალაჟზე მეცნიერებმა აღმოაჩინეს კონტინენტის „ნამსხვრევები“, რომელიც ჩაიძირა ინდოეთის ოკეანეში

მავრიკიის ნიადაგის შესწავლამ მეცნიერებს საშუალება მისცა, მოეძებნათ იმ ჰიპოთეზის დადასტურება, რომელიც ამტკიცებს, რომ დოკემბრიულ პერიოდში არსებობდა სუპერკონტინენტი როდინია. თუმცა, თავად კუნძული იყო არა ამ მატერიკის ნაწილი, არამედ მხოლოდ მიკროკონტინენტი, რომელიც არსებობდა ინდოეთსა და მადაგასკარს შორის.

* * *

რაულ კასტრო გადადგება ხუთი წლის შემდეგ

კუბის რევოლუციის ლიდერის ფიდელ კასტროს ძმა, რომელიც ოფიციალურად ჩაუდგა კუბას სათავეში 2008 წელს, ადრე არაერთგზის აცხადებდა, რომ საკვანძო სახელმწიფო და პარტიულ პოსტებზე ყოფნის დრო შემოფარგლული უნდა იყოს ხუთი წლით. კვირას იგი მთავრობის მეთაურად აირჩიეს.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

დავით აღმაშენებლის პრემია

(მემვიდე გვერდიდან) **— გამიგია, თქვენ საინტერესო და მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება ხართ, წერთ ლექსებს, მშვენივრად მღერით, თავად შეისწავლეთ უცხო ენა... ხართ არაჩვეულებრივი დედა, მეუღლე, ბებია... როგორ ახერხებთ ამ ყველაფერს ერთად?**

— ეს შეფასება, რა თქმა უნდა, გადაჭარბებულია. ახალგაზრდობაში მუსიკალურ სასწავლებელშიც ვსწავლობდი. სიმღერა ჩემთვის განწყობის გამოხატვა უფროა, ვიდრე გართობა. თუმცა, ჩემი მეგობრები იმდენად კარგად მღერიან, რომ მათ ფონზე მღერას მე ლექსების კითხვას ვამჯობინებდი ხოლმე.

სამწუხაროდ, ცხოვრებამ ყველას რაღაც დაღი დაგვასვა და სიმღერის ხალისიც თან გაიყოლა. ოჯახი რომ შევქმენით, მე და ჩემი მეუღლე ვაკეში ერთ პატარა ბინაში ვცხოვრობდით, მაგრამ იგი მუდამ სავსე იყო მეგობრებით. ჩვენთან რომ მეგობრები შეიკრიბებოდნენ და ლხინს ვიწყებდით, მეზობლები ფანჯრებს აღებდნენ და სიმღერებს უსმენდნენ.

„იგი მაღალზნეობრივ და სამშობლოს სიყვარულით გამთბარ ნაწარმოებებს ენიჭება...“

უცხო ენა მართლაც დამოუკიდებლად ვისწავლე ძალზე მოკლე პერიოდში, მოტივაცია მქონდა და იმიტომ. როდესაც დასავლეთთან კავშირი გაიხსნა, საქართველოში უცხოელების პირველი ტალღა შემოვიდა. მოხდა ისე, რომ ჩვენ ვუმასპინძლეთ ორ ამერიკელს, რომლებმაც ისე შეიყვარეს ყველაფერი ქართული, განსაკუთრებით კი ქართული სიმღერა, რომ დიდი სურვილი გამიჩნდა, მათთვის ამეხსნა, რაზე ვმღეროდით. რამდენიმე სიმღერა ვთარგმნე კიდეც ინგლისურად და მისი ჩანაწერი ჩემმა ამერიკელმა მეგობრებმა რამდენჯერმე გაუშვეს შეერთებული შტატების საზოგადოებრივ რადიოში საცივის მომზადების წესთან ერთად.

ისე დედაც ჩვეულებრივი ვარ და ბებიაც. არ მჯერა იმის, რომ შეიძლება ყველაფერი ერთდროულად კარგად აკეთო, რაღაცა, ყოველთვის ზიანდება, თუმცა ეს ზიანი ზოგჯერ გვიან იჩენს თავს. აი, მაგალითად, ჩემი უმცროსი შვილიშვილი ისეთ პერიოდში იზრდებოდა, როდესაც მას მხოლოდ მძინარეს ვხედავდი (პარლამენტში მუშაობის ასეთი რეჟიმი გვქონდა), ახლა კი ვატყობ, რომ რაღაც უნდა ვიღონო მასთან მიმართებით ბებიის სტატუსის აღსადგენად.

— თქვენ მეორედ დააფინანსეთ ჟურნალ „ხელეურთან“ არსებული ლიტერატურული კონკურსი რევაზ ინანიშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად. და ამით ფაქტობრივად კონკურსი გადაარჩინეთ. თქვენმა ვაჟმა — ერეკლე მეორის საზოგადოების თავმჯდომარემ არჩილ ჭყოიძემ კი სპეციალური პრიზი დააწესა ისტორიულ თემაზე შექმნილი საუკეთესო ნაწარმოებისთვის... თქვენი აზრით, რა არის ქართული მწერლობისა და კულტურის ყველაზე დიდი პრობლემა დღეს?

— ეს კონკურსი, რა თქმა უნდა, მე არ დამიფინანსებია. იგი ჩემი თხოვნით დააფინანსა ბატონმა ალექსანდრე ებრალიძემ. ჩვენ ის თაობა ვართ, ვინც დღემდე კითხულობს რევაზ ინანიშვილის თბილ, ტკივილიან, მაგრამ იმედიან მოთხრობებს, რადგან ისინი ჩვენი ახალგაზრდობის ნაწილია. ჩვენი თაობა გამოირჩეოდა წიგნის სიყვარულით. გადაუჭარბებლად გეტყვით, რომ ჩვენს თანაკლასელებს შორის ალექსანდრე წიგნიერებითაც გამოირჩეოდა. ისიც პედაგოგების ოჯახში დაიბადა და გაიზარდა. ალბათ ამიტომაც ჩათვალა მან აუცილებლად ინანიშვილის სახელობის კონკურსისთვის მხარდაჭერა.

რაც შეეხება თქვენი შეკითხვის მეორე ნაწილს, აქ ალბათ გამიჭირდება კონკრეტული პასუხის გაცემა. დღეს დიდი პრობლემებია პოლიტიკურ სპექტრში, განათლების სისტემაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ხელოვნებაში, ეკლესიაშიც კი. ანუ, ამ პრობლემათა რაღაც ის საერთო სათავეა მოსაძებნი, რომელიც ამ „ზედნაშენ“ პრობლემებს მოაგვარებს. სხვაგვარად რაიმე წინსვლაზე ოცნება სრულიად ფუჭი მეჩვენება. ეს საერთო პრობლემა კი ალბათ ჩვენი ფსევდო-რწმენის ბრალია. ჩვენ რომ ჭეშმარიტი მორწმუნეები ვიყოთ, ასეთ დღეში არ ვიქნებოდით. არ შეიძლება მარჯვენა ხელით პირჯვარს იწერდეს კაცი, ხოლო მარცხენათი მოყვასის ჩასაქოლი ქვა ეჭიროს ხელში.

— ვინ არის თქვენი საყვარელი მწერალი?

— სკოლის მოსწავლე რომ ვიყავი, სერვანტესი და ჰემინგუეი მიყვარდა ძალიან, ოღონდ რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ. ასაკის მომატებასთან ერთად ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემაც სულ უფრო მიჭირდა. ძნელია რაღაც რიგში დააყენო მსოფლიო მნიშვნელობის მწერლები და პოეტები. საყვარელი ალბათ ის მწერალია, რომლის ნაწარმოებსაც რამდენჯერმე გადაიკითხავ სიცოცხლის განმავლობაში და მუდამ რაღაცას ახალს აღმოაჩენ. ამ კრიტერიუმით თუ განვსაზღვრავ, მიყვარს ჩეხოვის მოთხრობები, ტოლსტოის და დოსტოევსკის რომანები, ჰიუგოს და გოეთეს პროზა, პუშკინის და ბოდლერის პოეზია. და, რა თქმა უნდა, ქართველი მწერლები და პოეტები — დავით გურამიშვილი, ილია, ვაჟა, აკაკი, გალაკტიონი, ლადო ასათიანი, მურმანი და მუხრანი, ჯავახიშვილი, გამსახურდია, ნიკო ლორთქიფანიძე.

ძალიან ბევრი ლექსი ვიცი ზეპირად და მიყვარს ლექსების კითხვა. ლექსის დაზეპირების უნარით ვსაზღვრავ (რა თქმა უნდა, ჩემთვის) მის ღირსებას. თუ ლექსი ერთი-ორი წაკითხვით ზეპირად არ დამამახსოვრდა, ე.ი. ვერ არის ეს ლექსი ვაჟას „ბაკური“ ან გალაკტიონის „ნიკორწმინდა“.

ამ „საზომით“ ჩემთვის აღმოვაჩინე რამდენიმე წლის წინათ ქალბატონი მანანა ჩიტიშვილი. სიამოვნებით ვკითხულობ კოტე ყუბანეიშვილის ლექსებს. ეს არ არის ტრადიციული ლექსი. ეს ეპოქის სარკისებური ასახვაა, დიდი ტკივილისა და იმავდროულად დიდი სიყვარულის გამოხატვა. მიყვარს ჩემი მეგობრის დინარა კასრაძის ლექსებისა და თარგმანების კითხვა. თუმცა, ცხოვრების ორომტრიალი, სულ უფრო ცოტა დროს მიტოვებს ჩემს საყვარელ წიგნებთან ურთიერთობისთვის.

— როგორია ნანა ჯაფარიძე ოჯახში?

— დღევანდელი სტანდარტებით დიდი ოჯახი გვქვია: ექვსნი ვართ, სამი თაობა ვცხოვრობთ ერთად. უფალმა ბედნიერება გვარგუნა და მეც და ჩემს მეუღლესაც ხანდაზმული დედები გვყავს. მათი სტუმრობა ჩვენთვის დიდი ბედნიერებაა. ღვთის წყალობით ახლა დიდ სახლში ვცხოვრობთ და სტუმარიც მეტი გვყავს, უფრო ჩემი შვილიშვილების სტუმრები ჭარბობენ.

ჩემი სიფიცხით ზოგჯერ პრობლემებს ვქმნი, მაგრამ გურული ხასიათის გამო უცებ გამივლის. ეს იციან ჩემმა შვილებმა (ასე ვეძახი შვილს, რძალსა და შვილიშვილებს, რადგან ყველანი ჩემს ხელში გაიზარდნენ. საერთოდ არ მომწონს სიტყვა რძალი) და ჩემი „გამოსვლები“ მაინცადამაინც გულთან ახლოს არ მიაქვთ. პატარა ბაღი გვაქვს, და თუკი რაიმე თავისუფალი დრო მრჩება, სულ რაღაცას ვთოხნი ან ვრწყავ. აღმოვაჩინე, რომ მიწასთან მუშაობისას ადამიანი საკუთარ თავთან მხოლოდ დადებითად საუბრობს. ამიტომაც მოქმედებს დადებითად განწყობაზე ბაღში ფუსფუსი.

მიყვარს სიცოცხლე, თავისი ტკივილითა და სიხარულით, და მიყვარს ყველაფრის კეთება, რაც სიცოცხლესთან და სიცოცხლის სიყვარულთანაა დაკავშირებული. ფრიდონ ხალვაშს აქვს ულამაზესი ლექსი, „გენაცვალე“, რომელიც ასე სრულდება:

„... გენაცვალე სიცოცხლეო,
მიტომ მატკბობ და მაწვალებ,
რომ შენ უფრო შემიყვარდე,
გენაცვალე“.

ასეთი ენის, ასეთი ზმნის მქონე ერმა ზნე არ უნდა შეიცვალოს. ეს უნდა იყოს დღეს ყველა ჩვენგანის ფიქრი. სწორედ ამ ზნის, ადათისა და კულტურის შენარჩუნებისთვის ხელშესაწყობად დააფუძნა ალექსანდრე ებრალიძემ დავით აღმაშენებლის სახელობის ისტორიულ-ლიტერატურული პრემია, რომელიც ენიჭება მხოლოდ მაღალზნეობრივ და სამშობლოს სიყვარულით გამთბარ ნაწარმოებებს.

— დაჯილდოების ცერემონიაზე სკაიპით ჩართვისას ბატონმა ალექსანდრემ თქვა, რომ თბილისის ოფისი დაიხურება. გაქვთ რაიმე სამომავლო გეგმები?

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბატონი ალექსანდრე აპირებს სხვა ორგანიზაციის შექმნას, რომელსაც აღარ ექნება პოლიტიკური ელფერი. ალბათ იქ მიმიწვევს სამუშაოდ. თუმცა, შეიძლება მოვლენები სხვაგვარადაც განვითარდეს. ასაკი მაძლევს უფლებას რაღაც დასკვნები საკუთარი გამოცდილებითაც გავაკეთო. მე ვფიქრობ დღევანდელ დღეზე, ხვალეზე კი ხვალე იფიქრებს, როგორც ჩვენი სარწმუნოება გვასწავლის.

ნება მომეცით, ვისარგებლო შემთხვევით და თქვენი გაზეთის მეშვეობით მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ამ ოთხი წლის მანძილზე გვერდში გვედგა. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა თქვენი გაზეთის მესვეურებს. ეს გაზეთი ყოველთვის აშუქებდა როგორც დავით აღმაშენებლის პრემიის მიმდინარეობას, ისე საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის თბილისის ფილიალის საქმიანობას, მაშინაც კი, როდესაც ჩვენთან თანამშრომლობა უხიფათო არ იყო. დიდი მადლობა.

ესაუბრა
ნატა ნიგლაძე

შეტყობინება კონტრაქტის მინიჭების შესახებ

პროექტის დასახელება: **მეორე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების პროექტი (SLRPII)**

განმახორციელებელი სააგენტო: **საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი**

ქვეყანა: **საქართველო**

პროექტის ნომერი: P122204

სატენდერო დოკუმენტის/კონტრაქტის საიდენტიფიკაციო ნომერი: SLRPII/CS/SQS-01

კონტრაქტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები: **9 გზის მონაკვეთის ზეგავლენის შეფასების კვლევა**

კონტრაქტის ხანგრძლივობა: 3 (სამი) თვე

შესაფასებელი ვალუტა: ლარი

შეფასებული კომპანია

1. დასახელება: NORC
მისამართი: ბეთესდა მნ 20814, ჩიკაგო, აშშ

2. დასახელება: CMD Ingenieros
მისამართი: სერპის 68 46022, ვალენსია, ესპანეთი

3. დასახელება: შპს Tbilisi Business Service
მისამართი: მარჯანიშვილის ქ. №6, თბილისი, საქართველო

გამარჯვებული კომპანია

დასახელება: შპს Tbilisi Business Service
მისამართი: მარჯანიშვილის ქ. №6, თბილისი, საქართველო
საკონტრაქტო ღირებულება (ლარში): 330,516.70

Contract Award Notification

Project Name: Supervision of construction works for rehabilitation of road sections under Second Secondary and Local Roads Project(SLRP II)
SLRPII/CS/CQS-01
Country: Georgia
Project Number: P122204

Bid/Contract Reference No :SLRPII/CS/CQS-01
Scope of Contract: Impact Evaluation Study for 9 Road Section under Second Secondary and Local Roads Project
Duration of Contract: 3 months
Evaluation Currency: Georgian Lari

Evaluated Bidders:
Name: Tbilisi Business Service Ltd.
Country: Georgia
Adress: Marjanishvili St.6, Tbilisi, Georiga

Name: NORC
Country: USA
Adress:Bethesda MD 20814, Chicago

Name :CMD Ingenieros Country:
Country: Spain
Adress: Serpis 68 46022, Valencia

Awarded Bidder:

Name: Tbilisi Business Service Ltd.
Country: Georgia
Adress: Marjanishvili St.6, Tbilisi, Georiga
Contract price: 330, 516.70 GEL

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ წინ, საქართველო!

„მუჟიკების“ ჩამწარებული დღე და პლასტუნკელთა სიხარული

გასულ უქმეებზე საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა სოჭში მძიმე ორთაბრძოლა გადაიტანა — ევროპის ერთა თასის გათამაშების მესამე ტურში ჩვენი ბიჭები რუსეთის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდნენ. „ბორჯღალოსნებისთვის“ ეს არსებობის 24 წლის განმავლობაში

150-ე საიუბილეო პაექრობადა ასევე საიუბილეო 90-ე გამარჯვება იყო და, ცხადია, მოედანზე მოგების წყურვილით გავიდნენ. აქამდე ჩრდილოეულ მეზობლებს 16 მატჩიდან 14-ში ვაჯობეთ, ერთი ფრედ დავამთავრეთ და ერთხელ დავმარცხდით, ისიც 21 წლის წინათ. მასპინძლებს, რომლებსაც ამჯერად უელსელი კინგსლი ჯოუნზი ავარჯიშებს, დიდი სურვილი ჰქონდათ, ნავსი გაეტეხათ, თანაც „მუჟიკების“ დღეს, საამისოდ არაფერი დაუშურებიათ. გულახდილად რომ ვთქვათ, შეხვედრის პირველი ნახევარიც მათი უპირატესობით წარიმართა, მაგრამ საბოლოოდ ძალამ და ოსტატობამ აღმართი მოხნა.

მატჩის მე-7 წუთზე მასპინძელთა მორიგი იერიშისას „ბორჯღალოსნები“ დაჯარიმდნენ და იგორ კლიუჩნიკოვმა ზუსტი დარტყმით ანგარიში გახსნა. რუსი ფულბეკისთვის ეს ამ მატჩში პირველი და ბოლო წარმატება აღმოჩნდა, რადგან შესვენებამდე კიდევ ხუთჯერ მიეცა ანგარიშის შეცვლის შესაძლებლობა და ყველა ბურთი კარს ააცილა. სამაგიეროდ, ხუთი წუთის შემდეგ მერაბ კვირიკაშვილმა წონასწორობა აღადგინა, 26-ე წუთზე კი სტუმრები დააწინაურა — 6:3.

მეორე ტაიმის 20 წუთის განმავლობაში მეტოქეებს არაერთხელ ჰქონდათ წარმატების შანსი, თუმცა ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენეს. აი, 61-ე წუთზე კი ჩვენმა ბიჭებმა რამდენიმესვლიანი კომბინაცია გაითამაშეს, საქართველოს ნაკრების ლიდერმა მამუკა გორგოძემ 22—მეტრიან ზონაში ბურთი ვიქტორ კოლელიშვილს გაატანა და ამ უკანასკნელს ლელოში შეღწევა არ გასჭირვებია. კვირიკაშვილმა ზუსტად გარდასახა — 13:3. შეიძლება ითქვას, რომ ამ ლელომ მასპინძლები წელში გატეხა, მაგრამ მათ იერიშები არ შეუწყვეტიათ და ორჯერ ზუსტი საჯარიმო დარტყმით ანგარიშში სხვაობა შეამცირეს. ქართველებმაც არ დაახანეს: საფინალო სასტვენამდე კვირიკაშვილმა ჯერ საჯარიმოთი და დავით ქუბრიაშვილის ლელოს შემდეგ უნაკლო გარდასახვით მატჩს საბოლოო წერტილი დაუსვა —23:9 და „მუჟიკებს“ დღესასწაული — 23 თებერვალი ჩაუმწარა. სამაგიეროდ, გაიხარეს სტადიონზე ხუთჯვრიანი დროშებით მრავლად მისულმა ქომაგებმა — სოჭში მცხოვრებმა და პლასტუნკელმა ქართველებმა, რომლებიც მთელი მატჩის განმავლობაში ომახიანად ქომაგობდნენ თანამემამულეებს. ამიტომაც თქვა ორთაბრძოლის შემდეგ დიმიტრი ბასილაიამ, ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს შინ ვთამაშობდითო.

ასეა თუ ისე, ქართველმა მორაგბეებმა ევროპის ერთა თასზე ზედიზედ მესამე შეხვედრა მოიგეს და გათამაშების ცხრილში მეტი ლელოების წყალობით დაწინაურდნენ, არადა, შაბათს რუმინელებმა მადრიდში ესპანელები დაამარცხეს (პორტუგალია — ბელგია 18:12) 25:15 და მათაც 12 ქულა აქვთ. **სამი ტურის შემდეგ კი გათამაშების ცხრილი ასეთია:** საქართველო — 12 ((31), რუმინეთი — 12 ((31), პორტუგალია — 5 (—13), ბელგია — 4 (—10), რუსეთი —4 (—25), ესპანეთი — 3 (—14).

9 მარტს ითამაშებენ: საქართველო — ესპანეთი, პორტუგალია — რუსეთი, ბელგია — რუმინეთი.

* * *

ევროპის თასი. III ტური. ინგლისი — საფრანგეთი 23:13, იტალია — უელსი 9:26, შოტლანდია — ირლანდია 12:8.

საჩემპიონო მდგომარეობა: ინგლისი — 3, უელსი, შოტლანდია — 2-2, ირლანდია, იტალია — 1-1, საფრანგეთი — 0 მოგება.

ლაშა დიდია

◎ ჯუდო

შესანიშნავი შვიდეულის „დიდსლემური“

ორი ოქროს, ამდენივე ვერცხლისა და სამი ბრინჯაოს მედალი — ასეთი მონაგრით დაასრულეს ქართველმა ძიუდოისტებმა გასულ უქმეებზე დიუსელდორფის „დიდი სლემის“ ტურნირი. ამდენი ჯილდო, თანაც მნიშვნელოვან საერთაშორისო შეჯიბრებაში, ჩვენს ბიჭებს დიდი ხანია, არ მოუპოვებიათ. ახალგაზრდა მწვრთნელის — ირაკლი უზნაძის შეგირდებმა, მართლაც, გააკვირვეს ქომაგები. სასიამოვნო იყო ისიც, რომ 81 კილოში ქართული ფინალი ვიხილეთ: ლევან წიკლაურმა მთელი ტურნირი მაღალ დონეზე ჩაატარა — ჯერ რუს ივან ვორობიოვსა და გერმანელ სვენ მარეშს აჯობა იოლად, მერე ტრავმირებული ჩეხი იარომირ მუსილი არ გამოუცხადდა, ნახევარფინალში კორეელი ბუ-ჯაემ კიმი დაამარცხა. არადა, აზიელმა ბოლო სამ წელიწადში ზედიზედ ორჯერ მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო და შარშან ლონდონის ოლიმპიადის კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა. დიახ, წიკლაურმა ასეთი მრისხანე ფალავანი დაჯაბნა და ფინალში გავიდა, სადაც თანაგუნდელ ავთანდილ ჭრიკიშვილს დაუპირისპირდა. ამ უკანასკნელმაც ლამაზი ჭიდაობით მოხიბლა მაყურებელი: ზედიზედ ჩამოიშორა გზიდან ბრიტანელი თომას დევისი, ფრანგი ლუის პიეტრი (ავთანდილმა ნავსი გატეხა - სხვადასხვა ტურნირში ფრანგთან სამი წაგების შემდეგ პირველად იზეიმა გამარჯვება), ბელგიელი იოახიმ ბოტიე და კანადელი ოლიმპიური პრიზიორი ანტონ ვალეს-ფორტიე. გადამწყვეტ პაექრობაში წიკლაურის დასამარცხებლად მან 50 წამი იკმარა. ამ წონის მედალოსნები ლეგენდარულმა ფეხბურთელმა ლოთარ მათეუსმა დააჯილდოვა.

90 კილოგრამ წონით კატეგორიაში კვლავ გაიბრწყინა ვარლამ ლიპარტელიანმა. პარიზული ტრიუმფის შემდეგ ქართველმა ევროპის ჩემპიონმა დიუსელდორფშიც ოქროს მედალი დაიმსახურა: შვედი იოაკიმ დვარბი, კორეელი ჰან კვაკ დონგი და გერმანელი მარკ ოდენტალი იპონებით დაამარცხა, ხოლო ჰოლანდიელი ნოელ ვან ტენდი გაფრთხილებებით მოახსნევინა. ფინალში ვარლამსაც ტიტულოვანი მეტოქე ჰყავდა — მსოფლიოს ჩემპიონი და ოლიმპიური ოქრო-ვერცხლის მფლობელი ბრაზილიელი ტიაგო კამილო. ისინი ტატამზე მეხუთედ შეხვდნენ ერთმანეთს. თუ წინა ოთხი ოკეანისგაღმელმა მოიგო, ამჯერად ქართველმა იყოჩაღა: მისი ერთ-ერთი გდება მსაჯებმა თავიდან იპონით შეაფასეს, მაგრამ მერე გადაწყვეტილება შეცვალეს და ჩვენებური ვაზარს დააჯერეს. ლიპარტელიანმა ოქროსთვის ესეც იკმარა. საგულისხმოა, რომ ამ წონის დაჯილდოებისას ტიაგო კვარცხლბეკზე სამ ქართველთან ერთად იდგა: ოქრო, ცხადია, ლიპარტელიანს ერგო, ბრინჯაოს მედლები კი ზვიად გოგოჭურმა და ილიას ილიადისმა (ჯარჯი ზვიადაური) მოიპოვეს.

გოგოჭურმა ტურნირზე სამი მეტოქე სუფთად დაამარცხა — შვეიცარიელი სირილ გროსკალიუსი, გამოცდილი ყაზახი ისლამ ბოზბაიევი და გერმანელი იანიკ გუჩე, მეოთხედფინალში ილიადისთან წააგო, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში კი ლიპარტელიანის ძლეულ ვან ტენდს აჯობა.

საქართველოს ნაკრებს მეორე ვერცხლის მედალი მძიმე წონაში ადამ ოქრუაშვილმა მოუტანა. ფინალამდე ქვეყნის ოთხგზის ფალავანმა იაპონელ რიუტა იშიის იპონით მოუგო, მერე პოლონელი გიგანტი იანუშ ვოინაროვიჩი შებოჭა, ტუნისელი ფაიცელ ჯაბალანი ბეჭებით გააკრა ტატამს, აი, ფინალში იაპონელ მასარუ მომოსეს კი ვერაფერი მოუხერხა და იპონით წააგო. ბრინჯაოს მედლები, გოგოჭურის გარდა, ამირან პაპინაშვილმა (60) და შალვა ქარდავამ (66) მოიპოვეს.

დიუსელდორფში ჩვენთვის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტიც მოხდა: ოპერაციის შემდეგ პირველად იჭიდავა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა. მართალია, მან ჯერ ვერ მოასწრო ფიზიკური კონდიციების აღდგენა, მაგრამ გერმანულ „დიდ სლემზე“ ჰოლანდიელი **იესპერ დე იონგი** და კორეელი ოლიმპიური პრიზიორი **ჯინ-ჰიუნ ჩოც** იოლად დაჯაბნა, მერე აზერბაიჯანელ ევროპის ვიცე-ჩემპიონ **ტარლან კარიმოვს სძლია,** ნახევარფინალში კი იაპონელ **მასაში ებინუმასთან** დამარცხდა, ვისაც ლონდონის ოლიმპიადაზე სწორედ ამ ეტაპზე აჯობა. ბრინჯაოს მედლისთვის შავდათუაშვილი ქარდავასთან საჭიდაოდ არ გასულა და მე-5 ადგილს დასჯერდა.

დიუსელდორფის ტურნირზე ორ-ორი ოქროს მედალი ქართველებმა, იაპონელებმა და ფრანგებმა მოიპოვეს. გუნდური ჩათვლაში ვაჟთა შორის ჩვენებმა გაიმარჯვეს — მეორე ადგილზე გასულ ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებს ბრინჯაოს მედლებით ვაჯობეთ.

ლექსო ცინცაძე

◎ სფფ-ში

იგი წავა და სხვა მოვა...

სეზონის განახლების წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარემ ტატო ლასხიშვილმა თანამდებობა დატოვა.

იგი „ქართული ფეხბურთის ქომაგთა ლიგის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია და ვინაიდან ხსენებული ორგანიზაცია სფფ-ს რიგგარეშე ყრილობის მოწვევას ითხოვს, აწ უკვე ყოფილ პოსტზე მოღვაწეობა მიზანშეუწონლად მიიჩნია.

რაც შეეხება „ქომაგთა ლიგის“ პრეზიდენტს ზურაბ პეტრიაშვილს, იგი აღნიშნული კომიტეტის წევრად რჩება.

მანუჩარ გიორგაძე

◎ კალათბურთი

ოვერტაიმებიც, რეკორდებიც

სუპერლიგის XV ტურის შემდეგ საჩემპიონო ცხრილში ოთხხელისუფლებიანობა სამხელისუფლებიანობით შეიცვალა.

ეს მას შემდეგ მოხდა, რაც შსს აკადემიის გუნდმა რუსთავში დამატებით დროში ერთ-ერთი უახლოესი კონკურენტი დაამარცხა — 96:92.

სტუმართა ლიდერი კირკ არჩიბეკი პარტნიორებს 23 ქულითა და ამდენივე მოხსნით შეეწია, მერაბ ბოქოლიშვილმა უხვად არიგა შედეგიანი გადაცემები, ხოლო მასპინძელთა გამთამაშებელმა ლევან ცეკვავამ 30 ქულას მოუყარა თავი.

ასევე დამატებით დროში გადაწყდა თბილისის „დინამოსა“ და „ქუთაისის“ უმძაფრესი დუელის ბედი. „თეთრ-ლურჯები“ კარგა ხნის განმავლობაში ვერ ახერხებდნენ მეტოქის გიგანტის რიჩარდ მათიაშვილის ნეიტრალიზებას (29 ქულა) და 19-ქულიანი უპირატესობაც გაფლანგეს, თუმცა ოვერტაიმში ბექა ჩიკვილაძის, ლამარ კარიმის, ფლინ კლაიმენისა და გიორგი ორმოცაძის ძალისხმევით მაინც მიაღწიეს საწადელს — 87:85.

ერთბაშად სამი რეკორდის დამყარებით დასრულდა ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის „არმიისა“ და ჯერაც მოუგებელი უიმედო აუტსაიდერის სტუ-ს უთანასწორო ბრძოლა — 131:73. ამიერიდან სეზონის საუკეთესო მონაგრად ითვლება ერთ-ერთი გუნდის მიერ მოგროვებულ ქულათა რაოდენობა (131), საერთო ქულათა ჯამი (204) და 58-ქულიანი სხვაობა.

რაც შეეხება ინდივიდუალურ მაჩვენებლებს, ძალოვანთაგან ბესიკ

ლეჟავამ (22 ქულა, 6-დან 4 ჩაგდებული სამქულიანი), ბექა წივწივაძემ (19 ქულა, 9 პასი) და გიორგი გამყრელიძემ (11 ქულა, 12 პასი), ივაჟკაცეს, ხოლო სტუდენტთაგან — ტატო ჩაჩიბაიამ (16 ქულა).

პლეი-ოფის საგზურის დასაუფლებლად პრინციპული შეხვედრა გაიმართა ზღვისპირეთში, სადაც „სოხუმმა“ „ბათუმს“ სძლია — 81:77.

„ოლიმპი“ — თსუ 91:72.

ლიდერთა ჯგუფი: შსს აკადემია, „არმია“, „ოლიმპი“ — 2-2, „რუსთავი“ — 3 წაგება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფეხბურთი

ევროპის სტადიონებზე

იტალია. XXVI ტური. „იუვენტუსი“ — „სიენა“ 3:0, „ინტერი“ — „მილანი“ 1:1, „ატალანტა“ — „რომა“ 2:3.

ესპანეთი. XXV ტური. „ბარსელონა“ — „სევილია“ 2:1, „დეპორტივო“ — „რეალი“ 1:2, „ატლეტიკო“ — „ესპანიოლი“ 1:0.

ინგლისი. XXVII ტური. „ქუინზ პარკ რეინჯერსი“ — „მანჩესტერი“ 0:2, „სიტი“ — „ჩელსი“ 2:0, „არსენალი“ — „ასტონ ვილა“ 2:1.

გერმანია. XXIII ტური. „ბაიერნი“ — „ვერდერი“ 6:1, „გლადბახი“ — „ბორუსია“ 1:1, „ფიურტი“ — „ლევერკუზენი“ 0:0.

საფრანგეთი. XXVI ტური. „ლიონი“ — „ლორიანი“ 3:1, „პარი სენ-ჟერმენი“ — „მარსელი“ 2:0, „რენი“ — „სოშო“ 2:2.

პოლანდია. XXIV ტური. „აიაქსი“ — „დენ ჰააგი“ 1:1, „ფეიენოორდი“ — „ეინდჰოვენი“ 2:1, „ჰერაკლესი“ — „ვიტესი“ 1:2.

გიორგი ზოთაძე

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◎ შაბათ-კვირის ჩანაწერები

„ღვთის ნიშნით დაღდასმული“



უკვე მერამდენედ მივუბრუნდი ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის **ნუგზარ წერეთლის** ახლახან გამოცემულ მოგონებების წიგნს **„გურამ რჩეულიშვილის ლეგენდა გრძელდება“**, რომელიც ეძღვნება მისი მეგობრის, სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული უნიჭიერესი მწერლის გურამ რჩეულიშვილის ხსოვნას.

ავტორი წიგნის შესავალში წერს: **„26 წლის ასაკში ტრაგიკულად დაღუპული მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ძალიან ბევრი დაიწერა. ეს არის ასობით მოგონება, ლექსი, მოთხრობა, რომანი, გამოკვლევა... დაიდგა მხატვრული ფილმები, სპექტაკლები, დაიხატა სურათები, მომზადდა ქანდაკებები, მისი შემოქმედების შესახებ სამი სადოქტოროს ნაშრომი შესრულდა, დაარსდა გურამ რჩეულიშვილის სახელობის ყოველწლიური პრემია. მე, პირადად, ათეულობით ლექსისა და ლიტერატურული წერილის გარდა უახლოეს მეგობარზე ორი წიგნი დავწერე. ეს წიგნები ოთხჯერ გამოიცა, საბოლოო ჯამში 72 ათასი ტირაჟით, რაც დღეისთვის წარმოუდგენელი ციფრია.**

ამხელა შრომის მიუხედავად, მაინც ვერ მოვისვენე, ვერ დავწყნარდი, ჩემს სანუკვარ წარსულს, ახალგაზრდობის, მეგობრობის განუმეორებელ წლებს ვერ ვუღალატე, ფიქრმა, სურვილმა, მწერლურმა ჟინმა, ჩვეულებისამებრ ამიყოლია და გადავწყვიტე ერთი წიგნი კიდევ დამეწერა, ცალკეული, გამორჩენილი, შემდეგ კი დღიურებით აღდგენილი უძვირფასესი მოგონებებიც არ დამეკარგა, თან გახსენების მიზნით მეგზურივით გავყოლოდი გვერდით გურამ რჩეულიშვილის საოცარ „ჩანაწერებს“, განსაკუთრებით ლიტერატურულ შეხედულებებს, მოგონებებს, სიღრმისეულ მსჯელობებს...

ისიც ხაზგასმით მინდა განვაცხადო, რომ ჩემს მოგონებებში, ისევე როგორც წინა წიგნებში, არაფერია მოგონილი, სრულ სიმართლეს მივყვები, ოდნავ გადახვევასაც კი არ ვუშვებ. მადლობა ღმერთს, ჯერაც კარგად არიან გურამ რჩეულიშვილის უახლოესი მეგობრები – გურამ გეგეშიძე, აგი აბაშიძე, ნოდარ ზედელაშვილი, თემო ბერიძე, რეზო ერისთავი, ნოდარ ცხვირავაშვილი, რაც მთავარია, მწერლის ძვირფასი და მარინე რჩეულიშვილი... ისინი თუნდაც ერთი ყალბი ნოტის გაუღერებასაც კი არ მაპატიებენ, არც მე ვაკადრებ ჩემს თავს, რაიმე გამოვიგონო ან სხვისი გასახსენებელი მივისაკუთრო“...


გურამ რჩეულიშვილის
უკანასკნელი ფოტოსურათი

* * *

ნიგნი, მართლაც ერთი ამოსუნთქვით იკითხება: ავტორი ოსტატურად ანაცვლებს ერთმანეთს სევდა-ნაღველსა და იუმორს, მოგონებასა და სინანულს, პორტრეტსა და ჩანახატებს, რომელთა ძერწვისას ჩვენ თვალწინ წარმოდგება მარად ჭაბუკად დარჩენილი მწერალი გურამ რჩეულიშილი:

„ის მართლაც არაჩვეულებრივი, ღვთის ნიშნით დაღდასმული, უკვადავების მედისწერითა თუ ფატალიზმის ძალით გამორჩეული იყო, თუმცა ნებისმიერი ადამიანივით მასაც ჰქონდა საკუთარი სისუსტეები თუ ცოდვები, მაგრამ მან საკუთარი უხინჯო ცხოვრებით დასძლია ყველაფერი ბიწიერი...

...„ძალიან უყვარდა – დედა, დედაზე მუდმივ ფიქრში გართულმა გარდაცვალების წინა ღამეს საოცარი ლექსი უძღვნა საყვარელ დედას, ეს კი მართლა გაფრთხილება-დამშვიდობებას ჰგავდა, რასაც დღეს უცრემლოდ ვეღარ ვკითხულობთ (ლექსი ისევ ზეპირად მომაქვს, იყოს ისე, როგორც მრავალჯერ მომიტანია):

„დედა, ნუ ჩამოხვალ ზღვაზე,
ზღვა ძალიან ღელავს,
შენ სუსტი ხარ, დედა,
ზღვა დაგახრჩობს შენ,
მე თოლია ვარ,
ქარს და ტალღებს ვეთამაშები“.

ეს ლექსი იწერებოდა 23 აგვისტოს ღამით, გაგრის შუა ადგილას მდებარე სანატორიუმ „ჩელუსკინის“ მესამე სართულის ზღვის გუგუნით სავსე ოთახში, 23 აგვისტოს დღის 4-ის ნახევრიდან 4 საათამდე კი რვა-ცხრა ბალიანი ღელვით გამძვინვარებულმა ზღვამ, სხვების სიცოცხლის გადარჩენისთვის ბრძოლაში, როგორც ეს ხდებოდა მთელი მისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, იმსხვერპლა გურამ რჩეულიშვილი“.

ეს ამონარიდი წიგნიდან, მეც უცრემლოდ ვერ წავიკითხე ბატონო ნუგზარ! დარწმუნებული ვარ, როგორც ადრე, ამჯერადაც, მეგობრის ხსოვნისადმი მიძღვნილ ამ ახალ წიგნსაც უამრავი მკითხველი ეყოლება, თქვენ კი, ღმერთი შეგეწიოთ, კვლავაც პირნათელი დგახართ უძვირფასესი მეგობრის ხსოვნის წინაშე!

„სურნელება“ გაზაფხულთან ერთად

ბრალდებულ გიგი უგულავას გარჯაზე დედაქალაქის აღმშენებლობისთვის, გაკოხტავება-გალამაზებისთვის, დიდი პათოსით რომ ყვებიან ამ დღეებში მისი მხარდამჭერნი, ჩვენ, „ალექსანდრეს“ ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებლებს (ბაღი რომ ჩვენთვის უკვე „შინაურია“), ირონიულად გვეღიმება, რადგან, ამ, როგორც ამბობენ, უზარმაზარი თანხით რეკონსტრუირებული ტერიტორიიდან (ბაღის ქვედა მხრიდან) მერიის შესაბამისმა სამსახურებმა ის ვერ გააკეთეს, ბაღიდან გაეტანათ ერთი გაუბედურებული (თავის დროზე რეჟისორ სანდრო მრევლიშვილის თეატრი „გლობუსი“) ხის ნაგებობა, რომელიც ერთიანად გაქურდულ-გამოშიგნულია, შესასვლელი კარი მოღლეტილი აქვს და ფიზიოლოგიური მოთხოვნილების გამო „გაჭირვებული“ ადამიანების „სულის მოსათქმელადაა“ გადაქცეული (ხარჯებში, აქ დასადგმელი ერთი ტუალეტის თანხა, ეტყობა, ვერ გამოიძებნა). ჰოდა, როგორც კი დათბება, გაზაფხულიდან გვიან შემოდგომამდე, ამ ნაგებობიდან გამოსული შარდისა და განავლის „სურნელება“ „სასიამოვნოდ“ ელამუნება ბაღში მყოფ ადამიანებს (თუ ცოტა ნიავიც უბერავს, მთლად უკეთესი).

სხვათა შორის, მგონი, შარშან, ბატონი გიგი რაღაც შეხვედრაზე ბრძანდებოდა აქ, მაგრამ, ეტყობა, იმ მომენტში „სურნელება“ შესუსტებული იყო და ქალაქის მერიც „მშვიდობიანად“ გაბრუნდა. არადა, პირიქით ყოფილიყო?.. შემოებერა ნიავს და პატივცემული ქალაქის მერს ხელი ცხვირ-პირზე აეფარებინა?.. ხომ უტირებდა ყოფას დოყლაპია „ქვემდგომებს“, რომლებმაც ამ „გაუპატიურებულ“ ნაგებობას, შესასვლელიც კი ვერ ამოუქოლეს დღემდე?!

ჩვენი გაზეთი ბარე-ორჯერ წერდა ამ საკითხზე, მაგრამ, როგორც ახლა იტყვიან (თორემ, „კომუნისტის“ დროს ცოტა „სხვაგვარად“

იყო), წერე და იკითხე!.. და აი, ერთხელაც ვცადეთ. რა დროს ეგ იყო, უჭირს კაცსო, არ ესიამოვნებათ გიგის მხარდამჭერებს, მაგრამ, იქნებ, სწორედ ახლა უფრო მიხედოს ამ საქმეს ქალაქის მერმა?!.

არადა, გაზაფხულთან ერთად „სურნელებაც“ შემოიჭრა ქალაქის შუაგულში, ბატონო გიგი!

„რას უპირებთ მაშინ ქუთაისს?!“

უფრო „გულმხურვალე“ „ნაცმოძრაობის“ წევრი, ვიდრე გიორგი თევდორაძეა, ასე ვთქვათ, პერიფერიიდან, სხვა არც მეგულება, დედა, რა ამბავშია, დედა, რა ამბავშია, საპარლამენტო უმცირესობის წევრი, რასაც მან, ერთ დროს ქუთაისის მერმა, როგორც „ნაცები“ ამბობენ, მშობლიურ ქალაქზე ზრუნვით, მიშას ერთგულებით მიაღწია.

კი ბატონო, კეთილი და პატიოსანი, ზოგს მღდველი მოსწონს, ზოგს – ფოფოდია, მაგრამ, ჩემო გიორგი („ჩემოს“ იმიტომ ვამბობ, მეც მანდაური კაცი ვარ) ნამეტანი „მუქი “ ფერებით ნუ დაგვიხატავ ჩვენი მშობლიური ქუთაისის მომავალს, თუ იქ პარლამენტი აღარ იქნება, რას უპირებთ მაშინ ქუთაისსო?! რომ მიმართავდი იმ დღეს ხელისუფლებას, საპარლამენტო უმრავლესობას.

და შენ მართლა გჯერა მიშასი, რომელიც ქადაგებს, ქუთაისი დაიქცევა, თუ იქ პარლამენტი არ იქნა, თუ მას საპარლამენტო ქალაქი არ დაერქმევაო?! კი, მაგრამ, მიშას რომ ეგ „გენიალური“ აზრი არ მოსვლოდა, „ქუთაისის“ საშველი არ ჩანდა?! ჯერ ერთი, „საშველი“ რა ჭირს ჩვენს ყველაზე ძველ და ყველაზე ქართულ ქალაქს?! ქუთაისი იყო, არის და იქნება სამაგალითო დანარჩენი საქართველოსთვის, რომელსაც, თავის დროზე, არც მეფე უკვირდა და არც დედაქალაქობა, არც კულტურული ცხოვრება, არც პოეზია, არც მწერლობა, არც მეცნიერება, არც სპორტი, თუ გნებავთ, არც ოჯახებში და არც „გოგისვანიძეებში“ სამაგალითო პურისჭამა. რას უპირებთ ქუთაისს?!. გამოდი ერთხელ იმ საპარლამენტო ტრიბუნიდან, შეკაცო, და დასვი საკითხი, როგორ გადავაქციოთ ქუთაისი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრად, როგორ მოვიწვიოთ იქ მსოფლიო რანგის მეცნიერები, როგორ მოხდეს გაცვლები, როგორ ემატებოდეს ამ უძველეს ქალაქს ახალგაზრდული ენერგია!

ქუთაისს სიკეთის მეტს არავინ არაფერს უპირებს და, შენც, როგორც იტყვიან, „აზრზე მოდი, რა“, ნუ აჰყოლიხარ მიშას ხუმტურებს, თუ ძმა ხარ!..

ვილენ მარდალეიშვილი

არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო-პრაქტიკული ცენტრის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ღვაწლმოსილ პიროვნებას, ქალბატონ ჯულიეტა გონაშვილს შვილის

მაია კაპანაძის

გარდაცვალების გამო.

◎ განაჩენი

ომი კანში

კანში, კინოფესტივალის ჩატარების დღეებში ატეხილი ჩხუბის გამო, რა დროსაც რამდენიმე კაცი დაიჭრა და სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანება მიიღო, რუსეთელ ჩრდილო კავკასიელებს ოთხ-ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ქალაქ გრასის სასამართლომ საქმე, რომელმაც მთელი ლაჟვარდოვანი სანაპიროს მოსახლეობა თავისი არნახული თავხედობით ააფორიაქა, ბოლომდე ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიიყვანა. 2011 წლის მაისში, როცა კანში საერთაშორისო კინოფესტივალი ტარდებოდა, ჩეჩნური დიასპორის რამდენიმე ახალგაზრდამ ელიტურ ღამის კლუბში VIP Room-ში შესვლა მოინდომა, მაგრამ მათი შეუსაბამო ჩაცმულობის გამო ისინი არ შეუშვეს. შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა, რომ დაცვამ აშკარად არასათანადოდ ვერ შეაფასა საფრთხის დონე, რომელსაც შუაღამის სტუმრები წარმოადგენდნენ.

როგორც გამოძიებამ დაადგინა, მეორე დილით ჩეჩნები კლუბის დაცვის თანამშრომლებს კვალში ჩაუდგნენ და ანგარიშსწორების ოპერაციაც მოამზადეს. როცა ღამის ცვლით დაქანცული დაცვის თანამშრომლები მიკროავტობუსებით კემპინგში მიიყვანეს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, მათ ფეხდაფეხ ხუთი ავტომანქანით კბილებამდე შეიარაღებული დაახლოებით ოცი კაცი მიყვა, რომლებიც ბეისბოლის ტაფელებით, ხელჯოხებით, არმატურის გადანაჭრებითა და დანებით სასტიკად გაუსწორდნენ დაცვის თანამშრომლებს, რომლებმაც მათ ვერაფერი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს, რადგან ცვლის დასრულების შემდეგ იარაღი, წესისამებრ, ჩააბარეს და გააფრთებული ჯიგიტების წინაშე უძლურნი აღმოჩნდნენ. რვა სასტიკად ნაცემმა და დაჭრილმა კაცმა საავადმყოფოში რამდენიმე კვირა გაატარა.

ვარის ოლქის პროკურორის მოადგილემ ჟან-ლუი მორომ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ კავკასიელები მაგრიბელებს (ჩრდილოეთ აფრიკა), რომლებიც კანისა და ნიცის დაცვის სამსახურებში მუშაობენ, კონკურენტ ჯგუფად აღიქვამენ. საქმე ეხება ლაჟვარდოვან სანაპიროზე დაცვის ბიზნესს, რომელიც პოლიტიკურ ლტოლვილთათვის, როგორებიც ჩეჩნეთის წარმომადგენლები არიან, დახურული აღმოჩნდა. პოლიციის შეფასებით, კარგად ორგანიზებულ „საფრანგეთის სტუმრებს“ დაცვის ბიზნესში არაბების ადგილი რომ დაეკავებინათ, მათ დიდად მომგებიანი ღამის კლუბებისა და მსგავსი გასართობი ადგილების „მფარველობაზეც“ მიუწვდებათ ხელი.

თამარ გოგიაშვილი

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

წმინდა ტახტი

„...და მსაჯული მრისხანე განსჯის ხალხს თავისას“

თამამად შეიძლება ითქვას, რომ რომის პაპის ბენედიქტე XVI-ის წმინდა ტახტიდან გადადგომის ამბავი კიდევ ძალიან დიდი ხნის მანძილზე მსოფლიო მასმედიის მთლად №1 ამბავი თუ არა, ყურადღების ცენტრში მაინც იქნება. არადა, უძველეს წინასწარმეტყველებას თუ დავუჯერებთ, ახალი რომის პაპი ისტორიაში... უკანასკნელი იქნება!

როგორც ცნობილია, რომის 111-ე პაპის ბენედიქტე XVI-ის წმინდა ტახტიდან გადადგომა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლის ნებაყოფლობითი წასვლის პირველი შემთხვევაა ბოლო 600 წელზე მეტი ხნის მანძილზე. წასვლის მიზეზად 86 წელს მიღწეულმა მთავარმა ღვთისმსახურმა დაღლილობა დაასახელა, თუმცა კი, მავანნი ლაპარაკობენ, რომ ჭეშმარიტი მიზეზი ფინანსურ სკანდალებში, კლირიკოსთა მიმართ პედოფილიის ბრალდებებსა და სხვა მძიმე ცოდვებში უნდა ვეძიოთ.

თუმცა, მორწმუნეთა და ეზოთერიკოსთა შორის ემოციური განსჯის საგანი მაინცდამაინც ეს არ გამხდარა: საქმე ისაა, რომ პაპის გადადგომის თაობაზე ვატიკანის წარმომადგენლის ოფიციალური განცხადების გაკეთებისთანავე, თითქოს ვიღაცამ განგებ მოაწყოო, ელვა მსოფლიოს მთავარ კათოლიკურ ტაძარს, წმინდა პეტრეს ბაზილიკის გუმბათს დაეცა. მანამდე კი, 27 იანვარს, ხოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღეს, როცა ბენედიქტე XVI-ემ „შერიგებისა და თანხმობის ნიშნად“ თეთრი მტრედი გაუშვა, იგი, კაცმა არიცის, საიდან გაჩენილმა თოლიებმა დაკორტნეს. ამას კიდევ იტალიასა და საბერძნეთში მიწისძვრები, მთელ მსოფლიოში კი მეტეორიტული წვიმები დაერთო...

ყოველივე ამან ინტერნეტ-მომხმარებლები „ზეციურ მინიშნებებზე“ აალაპარაკა და წმინდა მალაქიას წინასწარმეტყველება გაახსენა. **ლაპარაკია ვატიკანის ბიბლიოთეკაში დაცულ 112 მოკლე წინადადებისგან შემდგარ ხელნაწერზე,** რომელშიც XII საუკუნიდან დაწყებული ვიდრე მეორედ მოსვლამდე — არმაგედონამდე — პონტიფიკოსთა დახასიათებებია მოცემული.

„პაპების შესახებ წინასწარმეტყველებაში“ მოყვანილ სიაში პირველია ავტორის თანამედროვე პაპი ცელესტინ II, რომელსაც შემდეგ წმინდა ტახტის დანარჩენი 111 მთავარი მოსდევს, რომელთაგან თითოეულს ლათინურ ენაზე აფორიზმის სახით მოკლე დახასიათება აქვს მიცემული. ამასთან, არც ერთი მათგანის სახელი ნახსენები არ არის — წინასწარმეტყველება ამა თუ იმ პაპის მმართველობის თვისებებს, ან მის შედეგებს მიანიშნებს. თანაც, **განვლილმა დრომ უტყუარად დაადასტურა, რომ ეს დახასიათებები, ფაქტობრივად, სრულად ემთხვევა ისტორიულ რეალობას.**



ტექსტის ყველაზე გავრცელებული ახსნის თანახმად, ბოლოსწინა პაპია ბენედიქტე XVI, რომელიც წმ. მალაქიას ბოლო ფრაზასთან ასოცირდება: „De Glorya Olivae“ („ზეთისხილის დიდებისგან“). და მართლაც, ბენედიქტელთა კათოლიკური ორდენის ერთერთი განშტოება, რომელსაც კარდინალი იოზეფ რატცინგერი ეკუთვნის, ოლივეტთა ორდენია. 1993-2005 წლებში იგი კარდინალ ველერტი-სენიის ტიტულს ატარებდა — ამ ქალაქის გერბზე სამი ზეთისხილის ხეა გამოსახული. გარდა ამისა, იგი რწმენის დოქტრინის კონგრეგაციას, იგივე წმინდა ინკვიზაციას თავკაცობდა, რომლის მთავარ გერბს ასევე ზეთისხილის ტოტი ამშვენებს.

ბოლო დროის ყველაზე ცნობილი პონტიფიკოსი იოანე-პავლე II კი დახასიათებულია სიტყვებით **„მზის დაბნელებისგან“.** და მართლაც, კაროლ ვოიტილა 1920 წლის 19 მაისს დაიბადა — ეს კი მზის ნაწილობრივი დაბნელების დღე იყო, ხოლო მისი დაკრძალვის ცერემონია 2005 წლის 8 აპრილს შედგა, რა დღესაც მზის სრული ჰიბრიდული დაბნელება იყო.

ბოლო პაპზე კი, რომელიც ბენედიქტე XVI-ის შემდეგ აღსაყდრდება, ნათქვამია, რომ **„რომის წმინდა ეკლესიის უკანასკნელ დევნათა ჟამს აღსაყდრდება პეტრე რომაელი, რომელიც ცხვარს მრავალთა გვემათა დროს მწყემსავს: ამის შემდგომ დაინგრევა შვიდი ბორცვის ქალაქი და მსაჯული მრისხანე განსჯის ხალხს თავისას. დასასრული“.** ბევრი მკვლევარი მოყვანილ ტექსტში ნოსტრადამუსის „აპოკალიფსთან“ და სხვა წინასწარმჭვრეტის წინასწარმეტყველებასთან ანალოგიას უსვამს ხაზს.

მართლაც გახდება თუ არა ბენედიქტე XVI-ის მემკვიდრე ბოლო პაპი, ამას დრო გვიჩვენებს. მის არჩევნებამდე კი ბევრი დრო არ გვაშორებს — კარდინალთა კონლავი სიქსტის კაპელაში მარტში შეიკრიბება, რომელზეც კათოლიკური ეკლესიის უმაღლესი იერარქები ახალი პაპის ვინაობას დაადგენენ. ბევრის აზრით, იგი იტალიელი იქნება, რომელმაც, შესაძლოა, სახელი პეტრე აირჩიოს. თუმცა კი, ზოგიერთს მიაჩნია, რომ ბოლო ექვსი საუკუნის მანძილზე ვატიკანის კარდინალები პაპებს იმ ნიშნის მიხედვით ირჩევდნენ, რომელიც წმ. მალაქიას სიაშია მითითებული, რითაც კაცობრიობის მისტიკურ გრძნობებზე თამაშობენ. აბა, სხვა რაზე მსჯელობდნენ ისინი კვირების, ზოგჯერ კი, სულაც, თვეების მანძილზე, ჩაკეტილ-ჩარაზულ კარს მიღმა ბუხრიან დარბაზში?

ნინო ალექსანდრია



სურათზე: ესეც დასასრული. ბენედიქტე XVI-ის მდივანი გობელენს ხსნის, რომელზეც პონტიფიკოსის გერბია გამოსახული.

ჩვენი პრესდაიჯესტი

ყაბინეტი ვახტანგებთან

„ჩვენ წაუგებელი თამაში დავიწყეთ“

— გვამცნობს სახელმწიფო მინისტრი საინტეგრაციო საკითხებში პაატა ზაქარეიშვილი, — კონფლიქტის მოგვარების კუთხით დავიწყეთ წაუგებელი თამაში, რომელშიც უარიც და დადებითი საქმის გადაწყვეტაც საქართველოს სასარგებლოდ მუშაობს... თუ სხვა სამინისტროები ამაყობენ იმით, რასაც აკეთებენ, მე ხმას არ ვიღებ, იმიტომ, რომ ეს კონტრშედეგს გამოიღებს. ამჯერად, ჩვენი მთავარი მიზანია ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური ურთიერთობების 2006 წლის მდგომარეობამდე მიყვანა.

„რეზონანსი“

„თუ მართლა სურთ ზურაბ ჟვანიას მკვლელობის გამოძიება, დამკითხონ!

— აცხადებს ჟვანიას გარდაცვალებისა და კონსპირაციულ ბინაში მისი ცხედრის შეტანის მთავარი მოწმე ნათელა მოდებაძე, — სწორედ თქვენი გაზეთის ფურცლებიდან ვთხოვ საქართველოს მთავარ პროკურორს ბატონ არჩილ კბილაშვილს, რომ დაინტერესდეს ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციებით! და ერთიც: მაინტერესებს, რა მოხდა ისეთი, ჩემთან ერთი სატელეფონო ზარის და საუბრის შემდეგ, საერთოდ რომ დაიკარგა ერთ-ერთი პროკურორი და ახლა ჩემს ზარებსაც არ პასუხობს?!

„ასპვალ-დასპვალი“

„ვიცი ბევრი იმ სპორტსმენის ვინაობა, რომელიც მაწამებდა“

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, კარატისტი ამირან ბიწაძე, რომელსაც არაერთი მოწინააღმდეგ დაუმარცხებია რინგზე, საშინელი ძალადობის და წამების მსხვერპლი გახდა. არადა, იგი, „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთი მონაწილე იყო. ამირანი ამბობს, რომ სააკაშვილის გუნდის სამიზნე განსხვავებული აზრის გამო გახდა... გლდანის საპყრობილეში ორი თვე გაატარა და იმ პირობით გამოუშვეს, თუ საქართველოს დატოვებდა.

იბეჭდება ინტერვიუ ამირან ბიწაძესთან.

„კვირის პალიტრა“

რატომ შეძლეს ძვემო ქართლში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა საკუთარი დროშა, ჰიმნი და გერბი?

დიდი ხანია, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობის ეროვნულობის თვითგამორკვევის შესახებ არაფერი გვსმენია, სიტუაციაც თითქოს სტაბილური გახდა და აი, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ქვემო ქართლში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა საკუთარი დროშა, ჰიმნი და გერბი შეიმუშავეს, ანუ ყველაფერი ის, რაც ახალი სახელმწიფოს შექმნის ატრიბუტიკაა. ვინ არიან ეს ადამიანები და ხომ არ არის ამჟამად ამ რეგიონში სეპარტიზმის ახალი კერის გაჩენის საშიშროება?

— ეს საფრთხე სულ არის, — ამბობს ექსპერტი მამუკა არეშიძე, — მეტსაც გეტყვით: სულ არის და იქნება, თუ არ შევცვლით პოლიტიკას და მიდგომებს ასეთი ტიპის რეგიონების მიმართ და არ გავანებებთ თავს ძალოვანი და პოლიციური მეთოდებით პრობლემის მოგვარების მცდელობას.

„ძრონიკა“

ანეკდოტები

— შემობრძანდით ჩემთან, ჩაი დავლიოთ, ან ყავა, — ეუბნება ქალი მეზობელ კაცს.

— სიამოვნებით.

— აი, სიამოვნების თაობაზე კი ცალკე მოვილაპარაკოთ.

* * *

— რატომ დადიხარ ასე მარტოხელა? — დაქორწინდი, დაქორწინდი!

— აი, აი, შენ კი მიმტკიცებდი, უკვე გაპატიე და შენზე არ ვბრაზობო.

* * *

— ძკვიანი ადამიანები თავიანთ თავს ამის უფლებას არასოდეს არ მისცემენ!

— შენ საიდან იცი, რის უფლებას ვაძლევთ ჩვენ საკუთარ თავს და რისას არა?

* * *

დაიჭირა მოხუცმა ოქროს თევზი. შეუსრულა თევზმა მას სამი სურვილი. დაბრუნდა მოხუცი სახლში და გადააგდო დამამშვიდებელი და საძილე საშუალებების და „ვიაგრას“ კოლოფები.

* * *

— ბატონო დეპუტატო, — ეუბნება ინტერვიუსთვის მისული ჟურნალისტი ხალხის რჩეულს, — ალბათ, ბევრს მუშაობთ და სახლშიც იშვიათად ხართ, არა?

— გასული უქმეები სახლში გავატარე, დავისვენე, ფანჯრიდან გარემოს ხედებით ვტკბებოდი.

— ლამაზი ხედებია?

— შესანიშნავი. ლამაზი მთაა, ფერდობზე კი წარწერა — ჰოლივუდი.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პერმოსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com